პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველისპრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

[illegible] მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10—0.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

დღიური

ისპანიაში გრძელდება სინდიკალისტების დევნა.

საფრანგეთის პრესა აღშფოთებულია ამერიკის მიერ მოსულის ნავთის კონცესიის აღების გამო

კრიმში მოხდა ბელგიის და საფრანგეთის პრემიერების თათბირი, რომელმაც შეიმუშავა რურში ერთიანი მოქმედების გეგმა. თათბირის აზრით, გერმანიამ სავსებით უნდა გადაიხადოს მთელი ვალი

ოსმალეთის დელეგაცია უკვე გაემგზავრა ლოზანაში.

იტალიის პროფესიონალურმა კავშირებმა პროტესტი განუცხადეს საფრანგეთის მთავრობას ესსენის მუშების დახვრეტის გამო.

№ 84 კვირა, 15 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 84

ოლღა ვასილის ასული თუმანიანის ბავშვებითურთ იუწყება, რომ სამოქალაქო გასვენება

ოვანეს თუმანიანისა

შესდგება დღეს, 15 ამა თვის ხოჯივანქის სასაფლაოზე. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. ტროცკის ქ. (ყოფილი პეტრედიდის) 6.

ორშაბათს, 16 აპრილს, საღამოს 5 საათზე

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი: 1. მოხსენება პრეზიდიუმის მოღვაწეობისა და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ. 2. „კომზაგესის“ მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ. საბჭოს წევრები, რომელთაც არ მიუღიათ საწევრო წიგნაკები, ვალდებული არიან მიიღონ დაუყოვნებლივ. წინაალმდეგ შემთხვევაში, უწიგნაკოთ არ იქნებიან დაშვებული სხდომაზე.

(კრ. 222 2—2) **პრეზიდიუმი.**

ინსპექციის ცირკულიარის გამო

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოსცა ფრიად საყურადღებო ცირკულიარი, რომელიც მოთავსებული გვქონდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში. ცირკულიარი ეხება მუშათა პრესას.

საბჭოთა პრესის ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს გამოაშკარავება იმ არანორმალურ მოვლენების, დეფექტების, ბოროტმოქმედებების, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ წარმოება-დაწესებულებებში. ამით ჩვენი პრესა აქცევს სათანადო ორგანოების ყურადღებას ასეთ მოვლენებზე, რათა მიღებულ იქნას ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

კერძოდ ასეთი ხასიათის ცნობები და შენიშვნები უმთავრესად იბეჭდება ჩვენი გაზეთის იმ განყოფილებაში, რომელსაც ეწოდება „მუშათა ცხოვრება“. აქ თვით მუშა-კორესპონდენტები, რომელნიც თავიანთი მუშაობით უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ამა თუ წარმოება—დაწესებულებასთან, აშუქებენ წარმოების მდგომარეობას, მუშების ყოფა-ცხოვრების პირობებს, თანამდებობის პირთა მოქმედებას და სხვა.

ამ კორესპონდენციებში ხშირად წააწყდებით ისეთ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა რესპუბლიკაში. არის აღნიშნული შემთხვევები მუშათა ინტერესების და უფლებების შელახვის, ადმინისტრაციის კერძო წარმომადგენელთა უმოქმედობის თუ უკანონო მოქმედების, რაც დიდად ვნებს ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებას, რაც აძნელებს საბჭოთა მეურნეობის წარმატებით განვითარებას და სხ.

მაგრამ ბევრ შემთხვევაში მუშათა პრესის მიერ წარმოებული მხილება და კრიტიკა დღემდე უშედეგოდ რჩებოდა. მას ან სულ არ კითხულობდნენ, ვისაც ეს ეხებოდა, ან თუ კითხულობდნენ, არ იღებდნენ საჭირო ზომებს მუშათა პრესაში გამოქვეყნებულ დაუშვებელ მოვლენების მოსასპობად და დამნაშავე პირთა დასასჯელად. რამდენი რამ გამოქვეყნდა გაზეთში ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში არსებულ დეფექტების და თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ უკანონობის თუ შეუფერებელ მოქმედების შესახებ, ხოლო იშვიათად გვინახავს გამოხმაურება ამ შენიშვნებზე და მიღებულ ზომების შესახებ.

ეს სამწუხარო მოვლენა მოწმობს, თუ რამდენად არა აქვთ ჩვენში შეგნებული მუშათა პრესის მნიშვნელობა, ეს მოწმობს რომ საბჭოთა პრესას კიდევ არა აქვს მოპოვებული ის ძალა და ავტორიტეტი, რომელიც მას უნდა ეკუთვნოდეს, ამასთან ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ სუსტია ჩვენში საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის გავლენა და წონა.

ხოლო რამდენადაც მუშათა პრესა თანდათან შედის თავის უფლებაში, რამდენადაც მის მიერ წარმოებულ კრიტიკას უკვე დაუწყეს ყურადღების მიქცევა, ჩვენ ამასთან დაკავშირებით მოწმენი ვხდებით ერთ მახინჯ მოვლენის. ჩვენ ვლაპარაკობთ მუშა-კორესპონდენტების დევნაზე, რის რამდენიმე ფაქტი ჩვენ თავის დროზე გვქონდა გამოქვეყნებული. ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ადმინისტრატორი ამა თუ იმ საბაბით ცდილობს თავიდან მოიშოროს მისთვის არა სასიამოვნო მუშათა კორესპონდენტი, რათა ამით მზის სინათლეზე არ იქნას გამოტანილი მისი „საგმირო საქმენი“.

რა თქმა უნდა, მუშა მწერლების წინააღმდეგ მიმართული აშკარა თუ ფარული რეპრესიები ძირშივე იქნება ჩაკლული, მაგრამ თავის თავად დამახასიათებელია საბჭოთა პრესის თანამშრომელ მუშების ალაგმვის ცდა, რომლის თითო ოროლა შემთხვევას უკვე ჰქონდა ადგილი. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ, ერთი მხრივ, ზოგიერთ დაწესებულებაში ყველაფერი რიგზე არ მიმდინარეობს, მეორე მხრივ, აქა იქ კიდევ მოიპოვებიან საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტები, რომელთაც შედარებით მაღალი ადგილებიც უკავიათ.

ასეთ პირობებში, ვიმეორებთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცირკულიარს.

ინსპექციის სახალხო კომისარიატი კატეგორიულად მოითხოვს მის ქვემდებარე ორგანოებისაგან, რათა მათ მიაქციონ ფხიზელი ყურადღება მუშათა პრესაში მოთავსებულ შენიშვნებს, კორესპონდენტებს და ცნობებს, რომელნიც აშუქებენ არა ნორმალურ მახინჯ მოვლენებს საბჭოთა დაწესებულება-წარმოებებში. მათ ისინი დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმონ და მიიღონ შესაფერი ზომები. ამასთან ინსპექციის კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა კორესპონდენტების დევნისა და საბჭოთა პრესისადმი უყურადღებობის შემთხვევებს. კომისარიატი მოითხოვს თავის ორგანოებისაგან სისტემატიურად და დანიშნულ დროზე წარადგინონ მათ ანგარიში ამ მხრივ წარმოებულ მუშაობის შესახებ.

ამნაირად, მუშათა პრესის სიტყვას, მასში აღნიშნულ ფაქტებს ამიერიდან მიექცევა უდიდესი ყურადღება. საბჭოთა რესპუბლიკის თვალი და ყური—მუშათა და გლეხთა ინსპექცია დგას მის ზურგს უკან, შეუმოწმებლად არ დასტოვებს მის მიერ აღნიშნულ მახინჯ მოვლენებს და პასუხს მოსთხოვს ყველა დამნაშავე პირებს. ამასვე ავალდებულებს ის ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, რომელთაც ეკისრებათ საჭირო—ყურადღების გამოჩენა საბჭოთა პრესისადმი.

ესევე შედის აგრეთვე რესპუბლიკის პროკურატურის ამოცანაში, რისთვისაც ის უთანხმდება ინსპექციის ორგანოებს ამ დარგში „სფეროების და ორთავე ორგანოს მონაწილეობის სტადიისა ხარისხის განსასაზღვრავად“.

მუშათა პრესა ხდება უდიდესი ფაქტორი ჩვენი ცხოვრების, ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაჯანსაღების საქმეში. არც ერთი მისი ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, არამედ მას უეჭველად მოჰყვება რეალური შედეგი.

ჩვენი პრესაც შეეცდება იდგეს ამ მხრივ. თავის დანიშნულების სიმაღლეზე, ის თავის ფურცლებზე გამოაშკარავებს ყველა მახინჯ მოვლენებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ საბჭოთა დაწესებულებებსა და წარმოებებში. ის გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ ცდას, მიმართულს მისი ჯანსაღი და საფუძვლიანი კრიტიკის შეზღუდვისაკენ.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, როგორ რთულია და საპასუხისმგებლო ეს ამოცანა, თუ როგორი სიფრთხილეა საჭირო ამ შემთხვევაში, რათა მუშათა პრესა ემსახურებოდეს საბჭოთა ხელისუფლების, მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცებას, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს და არ გახდეს ასპარეზად ინსინუაციების, პირების და პირადი ანგარიშების გასწორების. ეს კარგად გვაქვს შეგნებული ჩვენ, ეს უნდა ჰქონდეთ შეგნებული მუშა-კორესპონდენტებს და ყველა ჩვენ თანამშრომლებს.

ბურჟუაზია და მუშათა ოპორტიუნისტული ბელადები

რევოლიუციონური მუშებისათვის დღეს ნათელია, რომ მოძრაობის ოპორტიუნისტული ბელადები ფაქტიურათ ეხმარებიან ბურჟუაზიას, მისი დიქტატურის გასამტკიცებლათ. ბურჟუაზიული წყობილება არასდროს არ ერიდება, რათა დაარღვიოს მთლიანობა მუშათა კლასის, დაქსაქსოს მისი ძალები, გადაიბიროს შედარებით უზრუნველყოფილი ზედაფენები ამ კლასის, თავის მუდმივი გავლენის ქვეშ იყოლიოს ცნობილი ბელადები ეგრედ წოდებული მუშათა არისტოკრატიის, რომ უფრო ადვილათ შესძლოს მშრომელთა დამორჩილება, ეკონომიურ, უფლებრივ და კულტურულ მონობაში მათი გაშეშება.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითებს ასეთი მდგომარეობისას გვაძლევს ჩვენ ამერიკისა და ინგლისის ცხოვრება.

არსა ისე შორს არ წასულა მუშათა არისტოკრატიის და მისი ბელადების მოსყიდვა ბურჟუაზიის მიერ, როგორც ეს მოხდა სწორედ ამ ქვეყნებში. „ღმერთო მოგვეცი ისეთი მუშათა პარტია, როგორიც არის ინგლისში“-ო უთქვამთ ხშირად ბურჟუაზიის იდეოლოგებს და სახელმწიფო მოღვაწეებს კონტინენტზე. მადლიერი ბურჟუაზია აფასებს ოპორტიუნისტების მოღვაწეობას. როგორც პირველი, ისე მეორე გრძნობს ინტერესთა სიახლოვეს და იგივეობას. ბურჟუაზია ამ „ბელადებში“ ეძებს თავის დასაყრდენს, „ბელადებიც“ გაბატონებული კლასებისაგან გამოელიან „ხეირს“, არა მაინცა და მაინც იმ აზრით, რომ პირადათ ხდებიან მოსყიდული ან მოქრთამული სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (თუმცა ესეც შესაძლებელია), არამედ როგორც მატარებელნი გარკვეული ჯგუფური ინტერესების მუშათა კლასში. მათ აერთებთ ბურჟუაზიასთან საერთო ინტერესები არსებული რეჟიმის შენახვაში, რაიმე უმნიშვნელო რეფორმის გატარებით, და იმავე დროს ზიზღი რევოლიუციისადმი, რომელსაც შეუძლია ერთ მშვენიერ დღეს ააფორიაქოს კაპიტალის „ის „წმინდა ოჯახი“. საერთო ინტერესთა ასეთი შეგნება ხანდახან იხატება საინტერესო ფორმაში უნდა მივუთითოთ ერთ ასეთ მაგალითზე

რურის საკითხის გარშემო ამტყდარ კამათის დროს ინგლისის პარლამენტში ოპორტიუნისტული მუშათა ბელადი, დეპუტატი ტომასი, იღებს სიტყვას და, როგორც დამცველი თავისი ნაციონალური ბურჟუაზიისა საფრანგეთის წინაალმდეგ, ამტყუნებს ამ უკანასკნელის პოლიტიკას, ჰგმობს რურის ოკუპაციას. ტომასი ილაშქრებს იმის წინაალმდეგ, თითქოს საფრანგეთი მხოლოთ კონტრიბუციის მიღების მოსაზრებით იკავებდეს გერმანიის ტერიტორიას, როგორც ამის შესახებ ოფიციალურათ აცხადებენ ფრანგები. საფრანგეთს რომ უფულობა აწუხებდეს, ის ფართო დახმარებას არ გაუწევდა პოლონეთს რუსეთთან ომის დროსო—სთქვა მან.

დიდი ორგანო საფრანგეთის ბურჟუაზიის, გაზეთი „ტან“-ი, ეკამათება თავის მეთაურ წერილში (17 მარტი) მუშათა დეპუტატს, ტომასს, და წარმოსთქვამს რამოდენიმე საყურადღებო აზრს. გაზეთი ადასტურებს, რომ საფრანგეთი ეხმარებოდა პოლონეთს საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ, მაგრამ ამას მოითხოვდა ევროპის ბურჟუაზიის ინტერესები. მაგრამ არა მარტო ბურჟუაზიის.

„ბ. ტომასმა უნდა იცოდეს—სწერს გაზეთი—თუ რა მოხდებოდა ამ სამი წლის განმავლობაში საბჭოებს რომ პოლონეთი გაესრისათ 1920 წელს. დასავლეთ ევროპა იქნებოდა ჩაბმული ამ შემთხვევაში ბოლშევიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. **ამ ბრძოლის დროს რა მოუვიდოდა პროფკავშირების ბურჟუაზიას, რომლის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია ტომასი?** იმ დროს, როდესაც დასავლეთის ერები (თუ ბურჟუაზია?) ჩაბმული იქნებოდნენ თავიანთი არსებობისათვის ბრძოლაში ბოლშევიზმის წინაალმდეგ, მუშათა ოპორტიუნისტული ბელადების მდგომარეობა არ იქნებოდა სახარბიელო, და თუ **მოხდებოდა შეუძლებელი და ბოლშევიკები გაიმარჯვებდნენ სადმე—ამ შემთხვევაში ყველაზე უწინ ტომასი იქნებოდა ჩამოხრჩობილი**“.

ძნელია იმის თქმა ვინ იქნებოდა დასჯილი პირველ რიგში—თუ საზოგადოთ გახდებოდა საჭირო ასეთი ზომები—პროლეტარიატის აშკარა მტრები თუ მეგობრების ქურქში გამოხვეული იგივე მტრები. მაგრამ აქ საინტერესოა ბურჟუაზიისეული მუშათა ოპორტიუნისტულ ბელადების ინტერესთა ის ჰარმონია, რომელსაც აღნიშნავს გაზეთი. ცხადია, რომ თავის ძალაუფლების დასაპყრობათ ამდგარ ბურჟუაზიას თავის წინაალმდეგ ეყოლება არა მარტო აშკარა მტერი, ბურჟუაზია და მისი სახელმწიფო, არამედ „მუშათა“ ის ბელადებიც, რომლებიც დღესაც ეხმარებიან ფაქტიურათ კაპიტალის მაგნატებს და რომელთა ასეთ დახმარებას უნდა მიეწეროს სწორეთ მთელ რიგ გაფიცვების დროს მუშათა დამარცხება ინგლისში და უკანასკნელ ხანებში (წარსული წლის ბოლოში და ახლის დასაწყისში) გერმანიაში.

ერთიანი რეაქციონური მასა სდგას რევოლიუციონური პროლეტარიატის წინაშე და ეს მასა დასუსტებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათ. ჩამორჩენილ ნაწილს მოსწყდებიან „ცუდი მწყემსები“, თუ ეს ნაწილი განთავისუფლდება მოღალატე ბელადების გამხრწნელ გავლენისაგან.

X.

რადიო-ტელეგრამები

რურის ოლქის ოკუპაცია

გერმანიის წარმომადგენლის გადასახლება

ბერლინი. 14 აპრილი. გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი კობლენცში გადაასახლეს ფრანგებმა დაკავებულ ოლქიდან.

არ სურთ შტრეიხბრეხერობა.

ბერლინი. 14 აპრილი. მაინცში უმუშევარმა შეიკლებმა უარი სთქვეს საოკუპაციო ხელისუფლების წინადადების მიღებაზე, რომლითაც ავალებენ მათ შესცვალონ გერმანელი რკინისგზელები, რომლებიც უარს ამბობენ მუშაობაზე.

ოკუპაციის გარშემო

გერმანიის პრესა მოლაპარაკების შესახებ.

მოსკოვი. 14 აპრილი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტსი“ მოითხოვს, რომ გერმანიის მთავრობამ დაუყოვნებლივ გადასდგას ნაბიჯები საფრანგეთთან მოლაპარაკების დასაწყებად. ამასვე მოითხოვს გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“. მაგრამ ეს გაზეთი სიმძიმის ცენტრს ხედავს არა მთავრობის ინიციატივაში, არამედ გერმანიის სამრეწველო წრეების არაოფიციალურ ნაბიჯებში.

მემარჯვენე პრესა პირიქით, დიდი თავდაჭერილობით ლაპარაკობს მოლაპარაკებისათვის ახალი ნაბიჯების შესახებ. გაზეთით „ცეიტი“ აცხადებს, მოლაპარაკება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრანგეთი დამარცხებულად იგრძნობს თავის თავს გერმანელების პასიური წინააღმდეგობით.

მოსულის კონცესიის გარშემო

საფრანგეთის პროტესტი.

მოსკოვი. 14 აპრილი. საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა სტამბოლში გადასცა ოსმალეთის გენერალს პროტესტი ანგორის ეროვნული კრების მიერ ჩესტერის კონცესიის პროექტის მიღების წინააღმდეგ.

არავითარი მანდატები არ შველის.

მოსკოვი. 14 აპრილი. ნიუ-იორკის გაზეთის „იუნაიტედ პრეს“-ის ცნობით, ჩესტერის კონცესიაში აღნიშნულია უფლება **აღმოსავლეთ ანატოლიაში და მესოპოტამიაში 1,000 მილის მანძილზე რკინის გზის გაყვანისა და აგრეთვე რკინის გზის ორივე მხრით 20 კილომეტრის მანძილზე მინერალური სიმდიდრეების დამუშავებისათვის.** ამას გარდა, კონცესია უფლებას აძლევს მოსულის ადგილების, ექსპლოატაციისა და მოსულში რკინის გზის გაყვანისათვის. ის ფაქტი, რომ მანდატი მოსულის ნავთიან ადგილებზე ეკუთვნის ინგლისს, არ ახდენს არავითარ გავლენას ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებზე.

კიდევ ხელშეკრულობაზე.

ანგორა. 10 აპრილი. 9 აპრილს მეჯლისში იხილავდნენ ჩესტერის ამერიკულ კომპანიის პროექტს რკინის გზების შესახებ. რაუფ-ბეი თავის სიტყვაში იცავდა პროექტს, აღნიშნავდა რა იმ გარემოებისა, რომ რუსეთის ცარიზმის დამხობისა და ოსმალეთის საბჭოთა რესპუბლიკებთან მეგობრულ კავშირის დამყარების შემდეგ, ხელშეკრულობის დადებისათვის გარეშე დაბრკოლებანი აცილებულია. მეორე ჯგუფის ორატორი აკრიტიკებდა მხოლოდ ცალკე პუნქტებს. ხელშეკრულობის პროექტი ხმის მიმცემთა სახელის აღნიშვნის კენჭის ყრით მიღებულია 186 ხმით.

ინგლისელებს ეშინიათ.

მოსკოვი. 14 აპრილი. ჩესტერის კონცესია დიდ ინტერესს იწვევს ლონდონის კომერციულ წრეებში. ინგლისელი მრეწველები აღნიშნავენ, რომ ეს კონცესია წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ფაქტს ანატოლიის ეკონომიურ განვითარებაში, კონცესია ხელს შეუწყობს ვაჭრობის გამოცოცხლებას ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ კონცესიის ის მუხლი რომელიც ეხება ნავთს, და რომლის ძალით ამერიკელებს ეძლევათ უფლება მოსულის ნავთის ექსპლოატაციისა, ინგლისის წრეებში შიშს იწვევს, რადგან თვით საკითხი მოსულის ტერიტორიალურ მიკუთვნებისა გადაწყვეტილი არ არის. ინგლისი ფიქრობს, რომ მოსული შედის ინგლისის გავლენის სფეროში მდებარე ირანის სახელმწიფოში. ამის გამო ინგლისი უეჭველათ შეეცდება ოსმალეთს ამ კონცესიის გაცემის უფლება [illegible]. საერთო აზრით ეს საკითხი განხილული იქნება მომავალ ლოზანის კონფერენციაზე.

ვერ მორიგდნენ.

მოსკოვი. 14 აპრილი. საფრანგეთის ელჩმა სენტოლერმა ინახულა ბონარ ლოუ იმ მიზნით, რათა გამოერკვია ინგლისის დამოკიდებულება რურის საკითხთან ლუშერის ლონდონში ყოფნის გამო და აგრეთვე ჩესტერის კონცესიის შესახებ, როგორც ამბობენ, სენტოლიერის მოლაპარაკება ბონარ ლოუსთან უნაყოფოთ ჩაიარა.

ახლო აღმოსავლეთი

დემოკრატიულ პარტიის დეკლარაცია.

ანგორა 10 აპრილი. გაზეთებში გამოქვეყნებულია დემოკრატიულ პარტიის დეკლარაცია, რომელიც ეწყობა მუსტაფა-ქემალის ინიციატივით. პარტია შესდგება „უფლებათა დამცველ კომიტეტი“ს მემარცხენე ჯგუფიდან. ძირითად პლატფორმის გამოქვეყნებული 9 პუნქტი ხაზს უსვამს ხალხოსნობის აუცილებლობის პრინციპს, რომელსაც ანხორციელებს დიდი ერ. ყრილობა, დიქტატურის დაუშვებლობას, რომელიც დადასტურებულია მონარქიის გაუქმებით, ხალიფატის უფლებების შეზღუდვას, რომელიც ეყრდნობა რელიგიას. განზრახულია ვილაიეტებისთვის ავტონომიის მინიჭებისა, სახელმწიფო კონტროლის და ოლქების თვითმართველობის. შესახებ კანონების გამოცემა, აგრეთვე სასამართლოს შესახებ არსებულ კანონების გადასინჯვა და კონკრეტიულ ზომების მიღება ეკონომიურ აღდგენისა და სასოფლო კრედიტების შესახებ.

ოსმალეთის დელეგაცია ლოზანაში.

ანგორა 10 აპრილი. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ ლოზანაში დანიშნულია ისმეტ-ფაშა. ტევფიკ-გამიდ-გასინ-ბეი მდივანათ არ წავა. გაზეთები იუწყებიან ისმეტ-ფაშას და რიზა-ნური-ბეის შორის მომხდარ მნიშვნელოვან თათბირის შესახებ.

ისმეტ-ფაშის გამგზავრება სმირნაში.

ანგორა 10 აპრილი. ისმეტ-ფაშა 10 აპრილს მიემგზავრება სმირნაში. ფიქრობს გაიაროს კონსტანტინეპოლში. ისმეტ-ფაშის გამგზავრებას გაზეთი „ხაკიმიეტ მილლე“ ხსნის ოჯახურ მდგომარეობით, „ენი გიუნს“ კი ფიქრობს, რომ ისმეტ-ფაშა გაემგზავრა ტევფიკ-ფაშასთან შესახვედრათ, რათა განიხილოს ზომები, რომელიც უნდა მიღებული იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ლოზანის კონფერენციამ განიცადა კრახი.

საფრანგეთი და ბელგია

ფრანგების და ბელგიელების თათბირი.

პარიზი. 14 აპრილი. გუშინ პარიზში ჩავიდენ ბელგიის პრემიერი ტენისი და ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრი ჟასპარი, რომელთაც თათბირი ჰქონდათ პუანკარესთან, ლე-ტროკესთან, ლასტეირთან, მაჟინოსთან და რეიბელემთან. საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ამ თათბირს და სთვლის მას ყველა დღემდე გამართულ თათბირების ლოღიკურ შედეგად. „ტანი“ სწერს: „საფრანგეთ—ბელგიის თათბირი მოწვეულია ახალი საკონტრიბუციო უფლების შესამუშავებლად, მით უმეტეს, რომ ბელგია ფიქრობს ბოლომდე მიიყვანოს რურში დაწყებული საქმე, ვინაიდან ყველა ცნობები იმას მოწმობენ, რომ ახლო მომავალში შეიძლება ველოდეთ გამარჯვებას. გაზეთის აზრით, თათბირზე გადაწყვეტილია მომავალში ენერგიულად გაატარონ საფრანგეთ ბელგიის შეთანხმება ნახშირის გატანის, დაკავებული ტერიტორიის მრეწველობის ერთდროული ექსპლოატაციის და აგრეთვე მაღაროებში დარჩენილი მარაგის გამოყენების საკითხის შესახებ. ამ ჟამად ორთავე მთავრობები შეიმუშავებენ თავიანთი პოლიტიკის საერთო ხაზს, დაიტოვებენ რა უფლებას, როდესაც გერმანია იცნობს თავს დამარცხებულად, ჩამოაყალიბონ თავიანთი წინადადებანი და მოთხოვნილებანი, როგორც თვითეული მთავრობა საჭიროდ დაინახავს.

აქვთ კონტაქტი ინგლისთან.

პარიზი. 14 აპრილი. „ჟურნალ დე-დება“ სწერს, რომ საფრანგეთი და ბელგია დარწმუნებული არიან გამარჯვებაში და აქვთ კონტაქტი ინგლისთან.

ახალი „სანქციები“.

პარიზი 14 აპრილი. საფრანგეთის და ბელგიის მინისტრთა თათბირმა აღიარა, რომ საფრანგეთ-ბელგიის პოლიტიკას მომავალში მიეცემა გადამწყვეტი ხასიათი. გადაწყვეტილია ყოველივე ზომები იქნეს მიღებული გერმანიაზე გავლენის გასაძლიერებლად ამისათვის ახლო მომავალში დაიკავებენ 7 ახალ მაღაროს, რომლებშიაც ამუშავებენ კოკსს, წარუდგენენ გერმანიას მოთხოვნილებას ნახშირზე გადასახადის რეგულიარულად შეტანის შესახებ, ხოლო უკანასკნელის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენებენ ახალ სასტიკ „სანქციებს“.

ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ

თემთა პალატაში.

მოსკოვი. 14 აპრილი, ინგლისის პალატის 11 აპრილის სხდომაზე მუშათა პარტია, რომელიც უკმაყოფილო იყო მით, რომ არ იყო მიღებული გადაწყვეტილება ომის ყოფილ მონაწილეთათვის პენსიების საკითხის შესახებ, შეუძლებლად სთვლიდა შემდეგ მუშაობას და მოითხოვდა მთავრობის გადადგომას. მთავრობის წინადადებამ, რათა შეწყვეტილიყო კამათი, გამოიწვია პალატაში დიდი მღელვარება მუშათა პარტიის დეპუტატები მღეროდენ მუშურ ჰიმნს „წითელი დროშა“ მინისტრებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი. სხდომა გადაიდო ერთი საათით. პალატის წევრების გამოსვლის დროს მოხდა შეტაკება, რომელიც გამოიწვია კონსერვატორების დაცინვამ. მუშათა პარტიის წევრთა თათბირზე, მაკდონალდის პროტესტის მიუხედავად, გადასწყვიტეს განაგრძონ ობსტრუქცია, სანამ მთავრობა არ მისცემს მათ დამაკმაყოფილებელ პასუხს. გაიგო რა ამ დადგენილების შესახებ, პალატის შეკრებისას, პალატის თავმჯდომარემ მოითხოვა სხდომის შემდეგი დღისათვის გადადება როგორც სჩანს, **მუშათა პარტიის წევრებმა მოიპოვეს გამარჯვება, ვინაიდან, საღამოს გაზეთების ცნობით, მთავრობა ნიშნავს კომიტეტს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ომის ყოფილ მონაწილეთა მდგომარეობის საკითხი.**

სოციალ-გამყიდველების განაში

სოციალ-დემოკრატები იღვწიან შეთანხმებისაკენ.

მოსკოვი. 14 აპრ. გაზეთი „ბაზელერ ფორვერტსი“ იტყობინება ახალ ნაბიჯების შესახებ, რომელიც სურს გადადგას შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მე-2 ინტერნაციონალთან დასაახლოვებლად. ნაბიჯები გადადგმულია პარტიის ცეკაში იმ წინადადების შეტანით, რომელიც მოითხოვს დელეგატების გაგზავნას ჰამბურგის კონგრესზე, რომლის მიზანია ვენის და ლონდონის ინტერნაციონალების გაერთიანება.

სხვადასხვა ამბები

ამერიკა

მთავრობა აგიტაციას ეწევა საერთაშორისო ტრიბუნალში მონაწილეობის სასარგებლოთ.

მოსკოვი. 14 აპრილი. ამერიკულ პრესის ცნობით მთავრობა ყოველ-ძალ-ღონეს ხმარობს, რათა დაარწმუნოს მასები იმაში, რომ საჭიროა ამერიკამ მონაწილეობა მიიღოს ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალის მუშაობაში.

ისპანია.

სინდიკალისტების მკვლელობა გრძელდება.

მოსკოვი 14 აპრილი. მადრიდიდან მიღებული ცნობის თანახმად, სინდიკალისტებზე თავდასხმა გრძელდება. ბარსელონაში მოკლულია ერთი სინდიკალისტი და დაჭრილია ერთი. ბონრევოში დაჭრილია 4 სინდიკალისტი.

ფინეთი

ბურჟუაზია დღესასწაულობს.

მოსკოვი. 12 აპრილი. 12 აპრილს ბურჟუაზიულმა ფინეთმა იდღესასწაულა გელსინგფორსის გერმანელების მიერ დაკავების ხუთი წლის თავი. ამის გამო გაზეთი „ფინეთის მუშა“ სწერს: „ფინეთის პროლეტარიატს ამ დამარცხებამ შესძინა სასარგებლო გაკვეთილები და ის უფრო მეტი ენერგიით მოემზადება მომავალი ბრძოლისათვის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს პოლიტიკურ მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი. 14 აპრილი. მოსკოვში გაიხსნა ჯარების სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს პოლიტიკურ მუშაკთა ყრილობა. ამხ. ტროცკისადმი გაგზავნილ მისალმებაში, ყრილობა აღნიშნავს, რომ წითელ არმიას მშვიდობიანათ შეუძლია განაგრძოს მეცადინეობა, დარწმუნებულია რა იმაში, რომ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ჯარები შესძლებენ პოლიტიკური წესრიგის სრულს დაცვას. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა რესპუბლიკებს ძალა-უნებურათ მოუხდათ ახალი საერთაშორისო ომის წარმოება, რასაც ცდილობენ საერთაშორისო იმპერიალისტები და კაპიტალისტები, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ჯარები მტკიცეთ დადგებიან წითელ არმიის პოზიციებზე და შეურყევლათ დაიცავენ მთელი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს.

რისთვის ვატარებთ ჩვენ უპატრონო ბავშვთა კომპანიას

მოსკოვი. 14 აპრილი. რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში სრულ. რუს. აღმასკომის ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დზერჟინსკიმ განაცხადა, რომ იმპერიალისტურ ომისა და შიმშილის შედეგათ ამ ჟამათ ირიცხება 4 მილიონამდე ობოლი და გაჭირვებული ბავშვები. ამის გარდა კიდევ არის მილიონ-ნახევრამდე დამშეულ რაიონების და უმუშევართა ბავშვები. ამ რიცხვიდან 1 მილიონი ბავშვი მოთავსებულია განათლებისა და ჯანმრთელობის კომისარიატების საბავშვო სახლებში, 3 მილიონი იღებს დახმარებას შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტიდან და უცხოელ ორგანიზაციებიდან, მილიონ ნახევარი კი დარჩენილია სრულიად უმწეოთ. სახალხო კომისარიატების კომისიების განკარგულებაში არსებული საშუალებანი არ არის საკმარისი და არ შეესაბამება საერთო საჭიროებას. აქედან წარმოიშვა აზრი უპატრონო და ავათმყოფ ბავშვთათვის დამხმარე კომპანიების აუცილებლობის შესახებ, რომელიც ეწყობა 30 აპრილიდან 6 მაისამდე. საშუალებათა ნახევარი გადაეცემა ადგილობრივ ბავშვთა კომისიებს, მეორე ნახევარი კი—სრულ რუს. აღმ. კომიტეტს. პირველის პირველ პრაქტიკულ შედეგათ უნდა იყვეს საბავშვო სახლების გაფართოვება და ბავშვების შემოსა. ამხ. დზერჟინსკიმ გამოსთქვა იმედი, რომ მშრომელნი იღონებენ ყოველგვარ შესაძლებლობას, რათა გადაარჩინონ საბჭოთა რესპუბლიკების მოზარდი თაობა.

საბჭოთა პარტსკოლების ყრილობა

მოსკოვი. 14 აპრილი. საბჭოთა პარტსკოლების ყრილობის 12 აპრილის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი პროგრამის შესახებ. ამხ. კრუპსკაიამ აღნიშნა პროგრამის დატვირთვა ზედმეტი ბალასტით, რისთვისაც აუცილებელია ამოიშალოს პროგრამიდან ყველა არა მნიშვნელოვანი მუხლები, რათა დაუახლოვდეს ის ცხოვრების ამოცანებს. სხვა ორატორები მიუთითებდენ სკოლებში არსებულ სქოლასტიურ ტრადიციებზე და პროგრამის ზედმეტ თეორიულობაზე. აღნიშნული იყო აგრეთვე სკოლებში სალაბორატორიო მუშაობის აუცილებლობის დაწყება.

მომგებიანი სესხის გათამაშება

მოსკოვი. 14 აპრილი. 13 აპრილს მოსკოვში დაიწყება მომგებიანი სესხის გათამაშება, რომელიც გასტანს რამოდენიმე დღეს. გათამაშება მოხდება მოსკოვის ერთ-ერთ დიდ დარბაზში, სადაც დასწრება შეეძლება ფართო მასას. გათამაშება გამოვა გამოსულ ხუთ სერიებით. ნაცვლათ 10-სა, რაც ადიდებს მოგების შანს ორჯერ. რადგანაც მოგებათა რიცხვი და ჯამი რჩება წინანდელი, ე. ი. 13169 მოგება 800 000 მანეთის ოქროთი. მოგება იქნება ანაზღაურებული ოქროს ოფიციალური კურსით. და განთავისუფლებული იქნება ყოველგვარ გამორიცხვისა და გადასახადებისაგან.

ყოფილ ესერების მოწოდება

მოსკოვი, 14 აპრილი. ყოფილ მემარჯვენე ესერების სრულიად რუსეთის ციმბირის აღმასრულებელმა კომისიამ გამოაქვეყნა მოწოდება პარტიის ყველა ამხანაგებისადმი, რომლითაც მოუხმობენ ყველა პატიოსან რევოლიუციონერების გაერთიანებისაკენ.

ფინანსიური თათბირი

მოსკოვი. 14 აპრილი. მოსკოვში 13 აპრილს გაიხსნა ფინანსთა კომისარიატის საოლქო რწმუნებულების და მსხვილ ფინანსიურ განყოფილებათა გამგეების თათბირი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოადგილე ამხ. ვლადიმიროვმა თავის მოხსენებაში მიუთითა, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელიწადში პირველად შესაძლოა გარდა განსაზღვრულ საემისიო ბიუჯეტის დაარსება 180 მილ. ოქროს მანეთის რაოდენობით და აგრეთვე შემოსავლის აღრიცხვა. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო წინადადება ხარჯების შესამოკლებლათ სპეციალური კომისიის დაარსების შესახებ. ასე რომ წელიწადის მეორე ნახევარში შევსძლებთ პირველად ვიქონიოთ მტკიცე ბიუჯეტი რაც ჩაითვლება უდიდეს მიღწევათ. მიმდინარე წელში სათანადოთ დასმულია საკითხი სახ. კომისარიატების საწარმოო გეგმების შეთანხმების შესახებ ფინანსიურ გეგმებთან. რაც შეეხება შემოსავალს, ღარიბი მწარმოებლის და მყიდველის გამო სახელმწიფოს არ შეუძლია ასწიოს გადასახადები, რასაც შეუძლია მრეწველობ.ს და ვაჭრობის განვითარების შეფერხება.

ემისიის საზარალო გავლენის გამო დეფიციტის შემცირების ერთად ერთი საშუალება არის ხარჯების შემოკლება. საბიუჯეტო წელიწადის პირველი ნახევარი განსაზღვრულია 640 მილიონ მანეთის შემოსავლით და 160 მილიონი მანეთი დეფიციტით. საგადასახადო ცენტრის უფროსმა ამხ. ლევინმა სთქვა, რომ მიმდინარე წლის გადასახადები შეადგენენ მთელი შემოსავლის 50 პროც., რაც უახლოვდება ომამდე არსებულ ბიუჯეტს. გლეხობის დაბეგვრა არ აღემატება ომამდე არსებულს, პირიქით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წლითი წლობით კლებულობს. წელიწადის მეორე ნახევარში საგადასახადო აპარატის მოწყობიდანვე მოსალოდნელია შემოსავლის საგრძნობლად გადიდება.

სრულიად უკრაინის აღმასკომის სესია

მოსკოვი. 12 აპრ. სრულიად უკრაინის აღმასკომის სესიის მეორე სხდომა დაიწყო კამათით მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ნოვიცკის მოხსენების გარშემო. ორატორები მიუთითებდენ კომუნალურ სესხის გაძლიერების აუცილებლობაზე. დიდი საგრძნობი ნაწილი უკრაინის ოქროს სესხის უნდა გადაეცეს კომუნალურ მეურნეობის საჭიროებას. აუცილებელია ცენტრმა დაჩქარებით გამოყოს სპეციალური კრედიტი უკრაინის სასოფლო მეურნეობის ასადგენათ. სათბობ მასალის მდგომარეობის შესახებ აღინიშნა, რომ დონბასმა მიმდინარე წელში მისცა 5 მილ. სათბობი მასალა, უკრაინას კი ესაჭიროება 228 ფ., რომლის მიღება საეჭვოა.

შეშის სათბობ მასალის შესახებ მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავეთაა. უკრაინის მასალები გამოლეულია, იძულებული ვართ გამოვიყენოთ ტორფი, რომლის საერთო მოდგანი მთელს უკრაინაში უდრის 10000 დეს. მიღებულია რეზოლიუცია: სრულ. უკ. აღმ. სესია ადგენს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივ სათბობ მასალას, შავ ნახშირს და ტორფს. მოეწყოს ტორფის კომიტეტი, და ეკისროს რა ტრესტებს ასწიოს ტორფის და ნახშირის ამოღება მაქსიმუმამდე.

შინაგან კომ. კომისრის მოადგილე ჩერლიუნჩაკევმა გააკეთა მოხსენება უკრაინის ადმინისტრატიულ დაყოფის შესახებ 120 მაზრის ნაცვლად იქნება 53 ოლქი 2000 „ვოლოსტებისა“—706 რაიონი. სრ. უკ. აღ. დაადგინა უკრაინის ადმინისტრატიულ დაყოფის შესახებ წარმოებული მუშაობა დადასტურებული იქნეს და მიენდოს პრეზიდიუმს შუამდგომლობა აღძრას რ. ს. ფ. ს. რეს. აღმასკომის წინაშე რუსეთსა და უკრაინას შორის არსებულ საზღვრების შეცვლის შესახებ, რომ სათანადოთ მოეწყოს ოლქების დაყოფა ეკონომიურ პრინციპის მიხედვით.

კომინტერნში

რაინ-ვესტფალიის კონფერენცია.

ამ ყრილობამ აღნიშნა ერთის მხრივ გერმანიის კომპარტიის მუშათა მასებზე გავლენის ზრდა, ხოლო მეორე მხრივ—უთანხმოების არსებობა ცეკას მომხრეებსა და ოპოზიციას (რ. ფიშერის მეთაურობით) შორის.

რუტ ფიშერმა გააკრიტიკა პარტიის პოზიცია როგორც რურის, ისე საქსონიის მთავრობის საკითხში. მისი აზრით, წამოყენებული უნდა იქნეს რურის მუშების ბრძოლის ლოზუნგათ—ფაბრიკების დაკავება და პროლეტარული რაზმების მოწყობა იქ, სადაც გერმანიის პოლიცია განდევნილია ფრანგების მიერ.

საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას მხარი არ უნდა დაუჭირონ. ფიშერის აზრით, კოალიციის შექმნა სტიქიის სახით არ უნდა აშინებდეს გერმანიის პროლეტარიატს

მომხსენებელმა ამხ. კლარა ცეტკინამ, რომელიც გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის სახელით, მიუთითა იმაზე, რომ პროლეტარული რაზმების შექმნა და ფაბრიკების დაკავება საფრანგეთის ხიშტების მფარველობით ძლიერ სახიფათოა პროლეტარიატისთვის. რაც შეეხება პარტიის დამოკიდებულებას სარეპარაციო საკითხისადმი, უნდა აღინიშნოს, რომ სანამ პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია ვერსალის ხელშეკრულების ჯაჭვი, შესრულების პოლიტიკა წარმოადგენ სამწუხარო აუცილებლობას, მაგრამ გადაიხადოს უნდა ბურჟუაზიამ და ამ მხრივ მუშათა მთავრობამ ძირიან-ფესვიანად უნდა შესცვალოს საგადასახადო სისტემა და შეზღუდოს ბურჟუაზიის რეალური ღირებულებანი. მუშათა მთავრობა არ არის სასწაულთ-მომქმედი თილისმა. მუშათა მთავრობას, რომელიც ნამდვილად მოინდომებს პროლეტარების ინტერესების დაცვის პოლიტიკის წარმოებას, აუცილებლად კონფლიქტი ექნება ბურჟუაზიასთან და მაშინ თვალსაჩინო გახდება, თუ რაში მდგომარეობს მისი ნაკლი და როგორ უნდა იქნეს ეს გამოსწორებული მუშათა მთავრობის ლოზუნგი არავითარ შემთხვევაში არ არის საბოლოო. ასეთივე აზრი გაატარეს ამხ. ამხ. შტეკერმა და უნგერმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ოპოზიციის პოლიტიკა სამსახურს უწევს საფრანგეთის იმპერიალიზმს და იწვევს იზოლიაციას კომუნისტურ პარტიაში.

რუტ ფიშერის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 68 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 55 ხმისა. მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა თანაბარი ბრძოლა ყოველგვარ გადახვევასთან როგორც მარჯვნით, ისე მარცხნით, ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გატარების დროს. ანალოგიური რეზოლიუცია მიიღეს აგრეთვე გერმანიის კომპარტიის ორგანიზაციების ყრილობაზე კოკლანდში.

გერმანიის კომპარტიის ზრდა.

„როტე ფანეს“ მიერ ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდენ სჩანს, რომ გერმანიის კომპარტია იმყოფება ზრდის პროცესში. მაგალითად, ერთი კვირის განმავლობაში ერფურტის რაიონში დაარსებულია ექვსი ადგილობრივი ორგანიზაცია. რეიშინდში იზრდება ღარიბი გლეხების სიმპატიები პარტიისადმი, მარტის პირველი კვირის განმავლობაში პარტიაში შევიდა 180 ათასი ახალი წევრი. აღმოსავლეთ საქსონიაში დაარსებულია ახალი ორგანიზაციები ლიხტენბერგში, გიბაუში, ვენგშტეინში და სხვა ადგილებში.

მოდის ცნობები აგრეთვე კრებების და მიტინგების წარმატებით ჩატარების და პარტიული პრესის ტირაჟის გადიდების შესახებ. ამავე დროს ხალისიანად შემოდის შემოწირულებანი პარტიული ფონდის სასარგებლოდ. მარტო ერთ რაიონში გალე-მერზენბურში უკანასკნელ დროს მოგროვებულია 2 მილიონი მარკა.

პარტიის ეს ზრდა მით უფრო ღირსია ყურადღების, რომ პარტია იძულებულია გაადიდოს საწევრო გადასახადი. ზოგიერთ ადგილებში ეს გადასახადი აღწევს თვიურად 1,500 მარკამდე.

უცხოეთის ცხოვრება

ამერიკა და ნავთის საკითხი.

ნავთის ამოღება შეერთებულ შტატებში 1911—13 წლამდე უდრიდა საშუალოთ დაახლოვებით 19.200 ათას ბარილს თვეში. ამ დროიდან მრეწველობას დიდი წარმატება დაეტყო და ამოღება უკანასკნელ წლებში აღწევდა 45 მილ. ბარ. თვეში; 1922 წლის დეკემბერში 50,1 მილიონამდე ავიდა ამავე დროს ნავთის მოხმარება ქვეყნის შიგნივ გაიზარდა იმდენად, რომ საკუთარი ნავთით გაჭირებათა დაკმაყოფილება შეუძლებელი გახდა. 1922 წ. დეკემბერში მაგალითად მოხმარებამ მიაღწია 57,2 მილ. ბარ.

ნავთის ფასების აწევა არავითარ გავლენას არ ახდენს მოხმარებაზე. თუ წინად 1 ბარილი ნავთი ფასობდა 1,79 დოლარი, დღეს იგი ღირს 3—3 ნახ. დოლარი. თუმცა უცხოეთის ნავთის იმპორტი გაიზარდა, მაგრამ ეს ნავთი არ ყოფნის, იმიტომ რომ მოხმარება საავტომობილო მოძრაობის განვითარების გამო უფრო სწრაფად იზრდება. 1914 წ. შეერთებულ შტატებში იყო 1300 ათასი ავტომობილი ანუ 1 ავტომობილი 72 მცხოვრებზე., ხოლო 1922 წელს უკვე 10 496 ათასი ანუ 1 ავტომობილი 10 მცხოვრებზე. უკანასკნელ წლებში ავტომობილთა რიცხვი იზრდება საშუალოთ დაახლოვებით 500 ათასი ცალით წელიწადში.

ამ ჟამად დაიწყო ამოღება ისეთ ნავთიან ადგილებში, რომელნიც დღემდე რეზერვად ითვლებოდენ და ხელმძღვანელი ნავთის მრეწველნი საჭიროთ სთვლიან მიიღონ სერიოზული ზომები უცხოეთის ნავთის იმპორტის გასაძლიერებლად. ამ მიზნით ამერიკელი კაპიტალისტები სცდილობენ ხელში ჩაიგდონ ძველი და ახალი ქვეყნების ნავთიანი ადგილები, რაშიაც მათ დახმარებას უწევს მთავრობაც. უკანასკნელის პოლიტიკა ლოზანას კონფერენციაზე უეჭველია დაკავშირებული იყო საკითხთან აღმოსავლეთში „სტანდარტ ოილის კომპანიის“ ინტერესების დაკმაყოფილების შესახებ ამას წინად ამერიკის მთავრობა ამზადებდა ნიადაგს ჯამბში ნავთის დამუშავების საქმეში მონაწილეობის მისაღებად. (ნიდერლანდიის ინდოეთში). სინკლერის ჯგუფი სცდილობს ხელში ჩაიგდოს სახალინის ჩრდილოეთ ნაწილის ნავთიანი ადგილები იმ დროს, როდესაც ვანდარლიტი იღებს კონცესიებს სხვა ადგილებში.

ამას წინად სავაჭრო კომისიამ წარუდგინა სენატს ცნობა, რომლიდანაც სჩანს, რომ შელის ჯგუფს აქვს 240.950 აკრი ნავთიანი მიწები შეერთებულ შტატებში და 752 მილი ნავთის სადინარი. ამავე დროს ამერიკელები წინააღმდეგობას უწევენ კონცესიების მიღებას ბურმაში, ბორნეოში, გონდურრში, გვიანაში და გრინიდადში. იტალია და საფრანგეთი სრულიად არ აძლევენ კონცესიებს უცხოელებს.

ნორვეგია.

ნორვეგიის ბანკის ცნობით ფულის ტრიალი მიმდინარე წლის თებერვალში გაიზარდა 349,7-დან 353,9 მილ. კრონამდე.

უკანასკნელ თვეებში ერთ დონეზე შეჩერებული საქონლის ფასები ამ ჟამად იზრდებიან. საერთო საქონლის ინდექსი 220-დან (1913 წ. იყო 100) ავიდა თებერვალში 224-დე.

ყველაზე მეტად გაიზარდა რკინის, ნახშირის, კოქსის და ფერადი ლითონების ფასები. დაიკლო ნავთის, ბენზინის და ნაჭსოვი საქონლის ფასებმა.

საგარეო ვაჭრობამ 1922 წ. მისცა ნორვეგიას 729 მილ. კრონი ექსპორტში და 1350 მილ. იმპორტში, ე. ი. ბალანსის პასიურობამ მიაღწია 621 მილ. კრონს, 1921 წ. კი იყო 227,6 მილ. კრონა.

1923 წ. იანვარში გატანილ იქნა 46 მილ. კრონის საქონელი წინააღმდეგ 56,2 მილიონისა. 1921 წ. იანვარში ბაჟებისაგან თებერვალში შემოვიდა 7,4 მილ. წინააღმდეგ შარშანდელი წლის 2,9 მილიონისა. ა/წ. 9 თებერვლის კანონის თანახმად ნორვეგიაში შეტანილ საქონელზე ბაჟები გადიდებული იქნა 20 პროცენტით; გამონაკლის შეადგენს ყავა, შაქარი, სამხრეთის ხილი და ღვინო.

ხე-ტყის მასალის ექსპორტი სუსტია, გამყიდველები მოელიან უკეთეს ფასებს. ყუთების გასაკეთებელ ხის მასალის მოთხოვნილება დიდია ლონდონიდან. უფრო მტკიცეა ცელიულოზა, რომელსაც ყიდულობს ამერიკა. ფასების გაზრდას ხელი შეუწყო შვეციაში მომხდარმა გაფიცვამ. ქაღალდის ბაზარი ცვალებადია. საგაზეთო ქაღალდის ბაზარი ჯერ სუსტი იყო, მაგრამ შემდეგ გახდა მტკიცე. ქაღალდს ყიდულობს აგრეთვე იაპონია, სელდის დაჭერა შარშანდელზე სუსტია, „ტრესკის“ ჭერა უკეთესია.

უმუშევართა რიცხვი ძველებურ დონეზე დგას

საფრანგეთის ფინანსები

1923 წლის ბიუჯეტის განხილვის შემდეგ დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა კანონპროექტი გასავალ-შემოსავლის ხარჯთაღრიცხვის სესხის საშუალებით გამოსწორების შესახებ დეფიციტის ციფრი არ არის გამორკვეული და ფინანსთა მინისტრს ევალება გამოსცეს ხაზინის ბონები იმ რაოდენობით, როგორიც საჭირო იქნება. ფინანსთა მინისტრმა და დეპუტატებმა მიუთითეს იმაზე, რომ გათვალისწინებული დეფიციტი 4 მილიარდი ფრანკის რაოდენობით გამოწვეულია გერმანიის მიერ რეპარაციების გადაუხდელობით. საფრანგეთმა ომის დროს გერმანიის მიერ დაკავებულ ადგილების რეპარაციას მოანდომა დაახლოვებით 80 მილიარდი ფრანკი.

ორატორები შეუძლებლად სთვლიდენ ახალი გადასახადების შემოღებას „ამის იქით წასვლა აღარ შეიძლება“. მემარცხენე დეპუტატები ენერგიულად მოითხოვდენ იმ პირთა ბოროტ-მოქმედების ალაგმვას, რომელთაც მოეპოებათ სიმდიდრე და სისტემატიურად გაურბიან შემოსავლის ქვალობითი გადასახადის შეტანას დაწესებული კანონის მიხედვით, მაგრამ მათ ყური არ უგდეს. არავის არ შეუნიშნავს ფინანსთა მინისტრისათვის გათვალისწინებული დეფიციტის შემცირების შესახებ, რომ რურის ექსპედიცია უკვე დაუჯდა საფრანგეთს 1 მარტამდე 100 მილიონი და რომ ეს ხარჯები კვლავ მატულობს, ხოლო დღემდე საფრანგეთს არავითარი ფინანსიური ან ეკონომიური სარგებელი არ მიუღია.

შემოსავლის ხარჯთაღრიცხვის განხილვიდან გამოირკვა, რომ გადასახადებიდან და მონოპოლიიდან მიღებული შემოსავალი გამოანგარიშებულია დაახლოვებით 500 მილიონის გადაჭარბებით, ხოლო ხარჯები შემცირებულია 1,500 მილიონი ფრანკის რაოდენობით. იმ მასალებიდან, რომელსაც მთავრობა დაუთმობს ერთი წლის განმავლობაში რკინისგზების კერძო საზოგადოებებს, შეიძლება 500 მილიონის მოგება. საბოლოო ჯამით დეფიციტი მთავრობის ანგარიშით უნდა უდრიდეს 3,700 მილიონს მიუმატოთ 1.500 მილიონი.

რაც შეეხება ხაზინის ხარჯებს 1923 წლისათვის, მთავრობამ ის განსაზღვრა 24 მილიარდის რაოდენობით, ხოლო დეპუტატთა პალატამ 32 მილიარდით. დახარჯულია 26,360 მილიონი, ხოლო შემოვიდა 23,613 მილიონი.

როგორ დააღწევს თავს მთავრობა ასეთ მდგომარეობას, ძნელია ამის თქმა. საზოგადოებრივი აზრი, გაბრუებული პატრიოტული მოწოდებებით, დაინტერესებულია რეინის ამბებით და არც კი სცდილობს რთულ ფინანსიურ საკითხებში გარკვევას.

მთელს პასუხისმგებლობას ფინანსების მოუწესრიგებლობაში ის აკისრებს გერმანიას და ეგრეთ წოდებულ „საერთაშორისო ფინანსიურ ორგანიზაციას“.

ის ოცნებობს იმაზე, თუ როგორ ჩაიგდოს ხელში რურის ნახშირიანი ადგილები და გეგემონია ევროპაზე, როდესაც მათ ხელში იქნება ლითონების და ნახშირის წარმოება.

საფრანგეთის ფინანსების გაჯანსაღება სავსებით შესაძლებელი ოპერაციაა, რადგან სახელმწიფო მდიდარია, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ მის ვეებერთელა ახალშენებს. მაგრამ ეხლანდელ მთავრობას და ეხლანდელ პალატას არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს აწარმოვონ როგორც ფინანსიური, ისე სამხედრო პოლიტიკა.

მსხვილი ქონებების დაბეგვრა იქნებოდა კონსერვატიულ ბურჟუაზიულ კლასების დახმარების დაკარგვას.

სწორედ ამისათვის ვერც მთავრობა, ვერც დეპუტატთა პალატა, განსაკუთრებით 1924 წლის არჩევნების მოახლოვების გამო, ვერ ბედავს ფინანსიური გეგმის გამომუშავებას.

საქართველოს წითელ ჯარისათვის!

ქ. ტფილისის და ტფილისის მაზრის მშრომელებს

ამხანაგო მუშებო და გლეხებო!

სრულიად საქართველოს ცენტრალმასკომის მიერ გამოცხადებულია საბჭოთა საქართველოს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის გაწვევა საქართველოს წითელ არმიის რიგებში.

მძიმე და ძნელი იყო გზა მშრომელთა ბრძოლისა თვით განთავისუფლებისათვის ერთათ-ერთ მსოფლიოში საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სხვა და სხვა გვარ მრავალრიცხოვან მტრების წინააღმდეგ.

იცავდენ რა ამ ბრძოლით თავის უფლებას საკუთარ ნებით თავისი ცხოვრების მოწყობაზე, მშრომელებმა თეთრგვარდიელ გენერლების, საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალიზმის ავაზაკთა თავდასხმის ქვეშ შექმნეს მძლავრი წითელი არმია.

გაანადგურა რა მუშათა კლასის და გლეხობის ყველა მტრები, ამ არმიამ სამი წლის გააფთრებულ ბრძოლით დაამტკიცა თავისი ძალა და ძლევამოსილება.

თავის საუკეთესო შვილთა სისხლის ფასათ მოიპოვეს მშრომელებმა დასვენებისა და უკეთეს ცხოვრების აგების შესაძლებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-6 წ. თავზე ამ ჟამათ ფრონტები არ არის.

მაგრამ, როგორც ამხ. ტროცკიმ განაცხადა, „ფრონტები არ არის—მაგრამ არის საშიშროება“.

მტრები წინანდებურათ უდარაჯებენ ჩვენი სისუსტის ყოველ მომენტს, მტრები ძველებურათ არ აგდებენ აზრს მუშათა და გლეხთა მსოფლიოში პირველ ხელისუფლების განადგურებისა.

და ისევე, როგორც წინეთ-სამოქალაქო ომის დროს ჩვენი ლოზუნგათ უნდა დარჩეს: „ფრთხილათ და მზათ ყოფნა სადარაჯოზე“ სადარაჯოზე დგას შეიარაღებულ მუშათა და გლეხთა გმირული არმია და იცავს კაპიტალისტების ხელიდან მუშებით მიერ გამოგლეჯილ ქარხნებსა და მემამულეებისაგან გლეხების მიერ წართმეულ მიწას.

წითელი არმია დარჩა პროლეტარულ სახელმწიფოს სანდო იარაღათ, ის აერთიანებს მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის და საერთო ბრძოლის მტკიცე კავშირში.

ამ მტკიცე და შეურყეველ კავშირშია წითელ არმიის ძლევამოსილება, ის არის საწინდარი მომავალ გამარჯვებისა იმათზე, ვინც შეეცდება ხელახლა აღილოს ხელი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ!

ამ ჟამათ საბჭოთა საქართველოს უზენაესი ორგანო თავისი ბრძანებით ავსებს ჩვენი ბრწყინვალე წითელ არმიის რიგებს მუშურ-გლეხურ მშრომელთა ახალგაზრდობის ახალი ძალებით!

და მზგავსათ თქვენი ამხანაგებისა და ძმების—რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბეიჯანის და სხვ. მუშებისა და გლეხების, თქვენ შეხვალთ წითელ არმიის რიგებში და შექმნით საერთაშორისო კომუნისტურ არმიის ერთ-ერთ რაზმს—საქართველოს წითელ არმიას!

ჩვენი არმია ნორჩია! მის დროშებზე არ არის აღნიშნული იმდენი ბრწყინალე და საგმირო საქმენი, რამდენიც რუსეთის წითელ არმიას აქვს!

მას არ მიუღია ცეცხლისა და მახვილის ისეთი გამოცდილება, რომელიც გადაიტანა რუსეთის წითელმა არმიამ სამოქალაქო ომის მრავალრიცხოვან ფრონტებზე.

მაგრამ საქართველოს მუშები და გლეხები ისარგებლებენ მისი გამოცდილებით და შექმნიან ღირსეულ წითელ არმიას, რომელიც საჭიროებისთანავე მტკიცეთ, მედგრად და ყველა მშრომელებთან ერთად განურჩევლათ ეროვნებისა დაიცავს საბჭოთა ხელისუფლებას ყველა მტრებისაგან, რა გვარ დროშის, სახელწოდების და ლოზუნგების ქვეშ არ იმალებოდენ ისინი.

და საბჭოთა ფედერაციის ყველა ხალხთა წითელ არმიებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული — საქართველოს წითელი არმია—მსოფლიო რევოლიუციის მოწოდებას მძლავრათ უპასუხებს: „ჩვენ აქა ვართ, ამ დროის განმავლობაში ჩვენ ვისწავლეთ იარაღის ხმარება და მზათ ვართ ვიბრძოლოთ, მოვკვდეთ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისათვის!“

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის და ეროვნების ბრძოლის ერთიანობას!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს რუსეთის გმირულ წითელ არმიას!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას, რომელიც შეავსებს წითელ არმიის რიგებს!

საქართველოს კ. პ. ტფილისის კომიტეტი.

ცირკულიარული № 109.

საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

12 აპრილს უკვე გამოცხადებულია 1901 წელში დაბადებულთა გაწვევა საქართველოს წითელ არმიაში.

ახალგაზრდა მუშებმა და გლეხებმა უნდა შეავსონ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის რიგები.

საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირმა, როგორც მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ყველაზე უფრო შეგნებულმა ნაწილმა უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მობილიზაციის ჩატარებაში.

ეს მით უმეტეს საჭიროა რომ დღეს ჩვენთვის აუცილებელია საქართველოს წითელი არმიის შედგენა და წითელი არმიის ნაწილებში კომუნისტური ორგანიზაციის ყოლა.

ეს ამოცანა უმთავრესად ახალგაზრდობის კომკავშირს ევალება და ჩვენ უნდა ვეხმაროთ ყოველი ძალღონე, რათა სახელოვნად შევასრულოთ საბჭოთა საქართველოსათვის ეს მნიშვნელოვანი ამოცანა.

მობილიზაციის წარმატებით ჩასატარებლად ცკა წინადადებას იძლევა გაატაროთ შემდეგი ღონისძიებანი:

1) ჩაატარეთ წინასწარი კამპანია კომუნისტურ ახალგაზრდობის და უპარტიო ახალგაზრდათა შორის, წითელი არმიის მნიშვნელობის, მისი კლასიური ხასიათის, საქართველოს წითელი არმიის შედგენის საქმეში კომუნისტურ ახალგაზრდობის როლს შესახებ და სხვა. თვითეული კომუნისტური ახალგაზრდა გაბედულად და სიამაყით უნდა შევიდეს წითელი არმიის რიგებში, შეიგნოს წითელი არმიელის მაღალი წოდება და თავისი მაგალითით აღაფრთოვანოს უპარტიო ახალგაზრდობა—**აი ლოზუნგი თვითეულ ჯარში გახაწვევ კომუნისტურ ახალგაზრდისა.**

2) დაუზოგავი ბრძოლა აწარმოეთ დეზერტირობასთან, კომუნისტურმა ახალგაზრდამ დაუზოგავად უნდა იბრძოლოს დეზერტირების წინააღმდეგ — დეზერტირი — საქართველოს მუშების და გლეხების მტერია; დეზერტირი—კონტრრევოლიუციას უწყობს ხელს; **აი ლოზუნგი თვითეული კომახალგაზრდისა.**

3) კავშირის კომიტეტებმა უნდა გამართონ ჯარში გაწვეულ კომახალგაზრდობის და უპარტიოების საპატივცემლოთ საღამოები და საზეიმო გაცილებანი.

საღამოები უნდა ჩატარდეს დიდი ზეიმით .

პროგრამა უნდა იყოს შემდეგი:

წინასწარ უნდა გააკეთოთ მოხსენება საქართველოს წითელი არმიის მნიშვნელობის (რომელიც არის საქართველოს მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი და იბრძვის დასავლეთის იმპერიალისტების და მათი ლაქიების ქართველ კაპიტალისტების და მემამულე მენშევიკების წინააღმდეგ) და კომუნისტური ახალგაზრდობის როლის შესახებ საქართველოს წითელი არმიის შედგენის საქმეში. მოხსენების შემდეგ გამოდიან ამხანაგები, რომელნიც მოუთხრობენ გმირულ ეპიზოდებს წითელი არმიის ისტორიიდან და ან თავიანთ რევოლიუციონურ მოგონებებს წითელ არმიაში ყოფნის დროიდან. (ამ მოთხრობებს არ უნდა მოანდომოთ 15 წუთზე მეტი).

ბოლოს გაიმართება კონცერტი—წარმოდგენა კომუნისტური ახალგაზრდობის ძალებით.

იქ, სადაც ეს შესაძლებელია, საჭიროა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირმა შესაფერი საჩუქარი უძღვნას ჯარში გაწვეულ ამხანაგებს და სხვ.

კამპანიის ჩატარების შემდეგ საჭიროა გამოიგზავნოს ცეკაში ვრცელი ინფორმაცია კამპანიის ჩატარების და არმიაში გაწვეულ კომახალგაზრდობის რიცხვის შესახებ.

კომუნისტური სალამით—

საქ. ახ. გაზრდ. კომკავშირის მდივანი **დევდარიანი.**

ცკას სააგიტ. საპროპაგ. განყოფ. გამგე—**ადამიანი.**

მოწოდება

ამხანაგებო!

გამოცხადებულია 1901 წელში დაბადებულთა საქართველოს წითელ არმიაში გაწვევა.

მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობამ უნდა შეავსოს ჩვენი სახელოვან წითელ არმიის რიგები.

ამ ჟამათ, როდესაც ევროპის იმპერიალისტ-ბირჟევიკები ამზადებენ იმპერიალისტურ ტლეტას, როდესაც ევროპას თავს დასტრიალებს ომის აჩრდილი, როდესაც ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტთა ერთგული ლაქიები—მენშევიკები, რომლებსაც უკვე არავითარი ნიადაგი არ აქვთ საქართველოში—აწყობენ საქართველოს მშრომელთა დამონავების სხვა და სხვა გვარ „გეგმებს“,—ჩვენ ყველამ უნდა დავძაბოთ ძალები ჩვენი ახალგაზრდა საქართველოს წითელ არმიის,—საქართველოს მუშათა და გლეხთა ინტერესების სახელოვან დამცველის,—გასაძლიერებლათ.

ამ მხრით დიდი ამოცანა დგება მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობისა და მისი ავანგარდის—საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის—წინაშე. კომუნისტური ახალგაზრდობა 17 წლის რევოლიუციის დასაწყისიდანვე განირჩეოდა როგორც საუკეთესო ნაწილი ჩვენი წითელ-არმიისა. სამოქალაქოობის მრავალ რიცხოვან ფრონტებზე ახალგაზრდა კომუნისტი მაგალითი იყო უპარტიო ამხანაგებისათვის.

და ეხლა მუშათა და გლეხთა ხელის უფლების მოწოდებაზე საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირი უნდა ჩადგეს საქართველოს წითელ არმიის პირველ რიგებში.

ყოველი გაწვეული თამამათ და ამაყათ უნდა ჩადგეს წითელ არმიის რიგებში, ის უნდა გრძნობდეს წითელ-არმიის მაღალ წოდებას.

ყოველ პატიოსან ახალგაზრდა მუშის ან გლეხის ამოცანაა გამოუცხადოს ულმობელი ბრძოლა ყველა დეზერტირებს. დეზერტირი—არ არის ღირსი საბჭოთა საქართველოს მოქალაქეობისა, დეზერტირი—მტერია საქართველოს მუშებისა და გლეხობის, დეზერტირი კონტრ-რევოლიუციის ხელის შემწყობია.

1901 წლის ახალგაზრდობავ! თანახმათ თქვენი ხელის უფლების მოწოდებისა—თამამათ და ამაყათ საქართველოს წითელ არმიის რიგებისაკენ!

ახალგაზრდობის კომკავშირო—პირველ რიგებისაკენ!

დანარჩენებო—გაუსწორდით კომკავშირს!

საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

„ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის“ მიზნები და ამოცანები

სახალხო სასურსათო კომისარიატთან დაარსდა სახელმწიფოებრივ-სამეურნეო ორგანო პურისა და სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტთა ვაჭრობის მოსაწესრიგებლად სახელად „ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტი“.

დებულება „ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის“ შესახებ დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და მის მიხედვით შექმნილია გამგეობა, სამი კაცისაგან შემდგარი.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის ძირითადი ამოცანაა—მჭიდრო ეკონომიურ კავშირის დაჭერა საბჭოთა რუსეთის ბაზრებთან.

ეს კავშირი საჭირო არაა მარტო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მოსამარაგებლად უკეთესის ხარისხის და იაფ ფასის პურითა, არამედ იმისათვისაც, რომ მოწყობილ იქნას ადგილობრივ ნაწარმოებ პროდუქტების დამზადება და რეალიზაცია.

როგორც ვიცით, მე-80 წლების დასაწყისიდან საქართველო იკვებებოდა ჩრდილო-კავკასიიდან, უკრაინიდან და რამდენიმე ვოლგის მხრიდან შემოტანილ პურით.

ეს გარემოება ისეთს პირობებს ჰქმნიდა, რომ რუსეთის პური ჩვენს მომხმარებელთა ადგილობრივს პურზე იაფად უჯდებოდა, რაიც ხელს უწყობდა ძვირფას კულტურათა განვითარებას: მევენახეობას, მეთამბაქოეობას, ჩაის კულტურას და სხვა...

ნათეს მიწების სივრცე თანდათან კლებულობდა, სამაგიეროდ ფართოვდებოდა ისეთ მიწების სივრცე, სადაც ძვირფასს კულტურას მისდევდნენ იმის კვალობაზე, თუ რამდენი შემოდიოდა რუსეთის პური.

სურათი რამდენადმე შეიცვალა 1917 წლიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ჩვენი მხარე ხელოვნურად ჩამოაშორეს რუსეთს. ცალკე რესპუბლიკების სხვადასხვა საშუალებათა გამოძებნა უხდებოდა მოსახლეობის პურით დასაკმაყოფილებლად რუსეთის ბაზართან კავშირის დაჭერის გარეშე.

სათეს მიწების სივრცე გაფართოვდა ძვირფას კულტურის მოსპობის ნიადაგზე. მაგრამ არც ამან უშველა საქმეს. საჭირო ხდებოდა საზღვარგარეთიდან პურის შემოტანა ბათომით.

უვარგისი სიმინდი მაგალითად საქართველოში იყიდებოდა პირდაპირ საზღაპროდ ძვირ ფასებში. ხალხი პურის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. მდგომარეობას გაუმჯობესება დაეტყო მხოლოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა გასაბჭოების დღიდან.

საბჭოთა რუსეთთან დამყარებულ ნორმალურს ეკონომიურს ურთიერთობას თავისი შედეგები მოაქვს.

აქედან ცხადია, რომ ამიერ-კავკასიისათვის ეკონომიურად ხელსაყრელია ხმარობდეს რუსულ პურს, ადგილობრივ პურთან შედარებით უფრო იაფს და უკეთესის ხარისხისას და მის ნაცვლად მისდევდეს უფრო ძვირფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას. ამას მოწმობს სტატისტიკური ცნობები იმ პროდუქტების შესახებ, რომელიც რუსეთიდან შემოდიოდა ომამდე.

საქონლის სახელწოდება	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.
პური	—	—	—	—
ჭვავი . .	105.568	173 839	121.554	687.081
ხორბალი	2.285.336	2.460.541	3.740.863	3.644.628
შვრია .	59.141	123.564	36.084	66.342
ფეტვი .	20.293	134.912	58 897	28.803
ქერი .	936.553	1.147.435	616.143	1.097.464
სიმინდი	139.078	246 768	172 513	167.886
მუხუდო	15.197	11.054	6.764	—
სურჟა, პოლბა.	—	—	—	—
ლომი, სორგო.	14	1.900	58.949	23.186
ლობიო .	25.270	17 825	15.702	—
პურის ფქვილი	4.531.423	7.342.876	5.702 465	6.491.867
ჭვავის „	16.059	15.208	8 153	—
ბურღული	415	1.309	228	59.590
კრუპა .	4.697	6.275	6.496	—
ფშენო .	34.899	47 654	35 028	170.961
სოლოდი	30 409	32 564	10.635	—
სულ . .	8.204.362	11.763.715	10.589 474	12.437.803

სამის წლის განმავლობაში, სახელდობრ 1910 წლიდან 1913 წლამდე, შემოტანილ პროდუქტების ჯამი რვა მილიონიდან 12 მილიონამდე გაიზარდა. შეუძლებელია, რომ გარემოებას ყურადღება არ მივაქციოთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1913 წელს შემოტანილ პურს: 3 მილიონ ფუთზე მეტს ხორბალს და ექვს მილიონ ნახევრამდე ფუთს ხორბლის ფქვილს.

ყველა დანარჩენი პროდუქტი, როგორიც არის შვრია, კრუპა და სხვა შემოჰქონდათ რუსეთის ყოფილ არმიის საჭიროებისათვის. პურის გარდა 1913 წელს შემოტანილ იქნა 7 მილიონამდე ფუთი შაქარი. უმთავრესი პუნქტები, რომელნიც ამარაგებდნენ ამიერ-კავკასიას, იყვნენ: როსტოვი, არმავირი, ეკატერინოდარი, სტავროპოლი და სხვა.

მომხმარებელი პუნქტები იყვნენ: ბაქო, განჯა, ტფილისი, ბორჯომი, ქუთაისი, ალექსანდროპოლი, ერევანი და სხვა.

ამავე დროს გაჰქონდათ ადგილობრივ ნაწარმოები პროდუქტები.

საქონლის სახელწოდება	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.
ღვინო	2.211.823	2.507.606	3.010.654
თხილი	384.934	219.974	14.757
თამბაქო	14 747	44 331	63.855
მატყლი	59.787	70.445	60.735
ბამბა	2.036 161	2.672 063	2.279.256
სულ . .	4.706.952	5.514.419	5 429.257

საჭიროა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ შემოტანილ პურის რაოდენობასა და ამიერ-კავკასიიდან გატანილ ღვინის, თამბაქოს და სხვათა რაოდენობის შორის გარკვეული კავშირი არსებობდა. რამდენიც მეტი პური შემოჰქონდათ, იმდენი მეტი ძვირფას კულტურის პროდუქტები გაჰქონდათ.

კიდევ უფრო მეტიც: მათ შორის პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს. მაგალითად 1910 წლიდან 1918 წლამდე შემოტანილ პურის რაოდენობა 65,9 პროცენტით გაიზარდა, გატანილ პროდუქტებისა კი—86,7 პროცენტით. მთელი ეს გაცვლა სწარმოებდა კერძო ინიციატივის საშუალებით.

დღეს კი, როდესაც სახელმწიფო ცნობილ მიზეზთა გამო სცდილობს პირველ საჭიროების საგნების (პურის შაქრის და სხვ.) გაიაფებას, ლაპარაკიც შეუძლებელია კერძო მწარმოებლებზე ამ ფუნქციების გადაცემის შესახებ. სახალხო კვების ძირითად პროდუქტის—პურის—გაძვირება დაუღუპველად იმოქმედებს როგორც მშრომელთა კეთილდღეობაზე, ისევე ემისიის მდგომარეობაზე.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ ემისიის გადიდება თავისთავად სრულიადაც არ აუმჯობესებს მუშათა ნივთიერ მდგომარეობას, პირიქით აუარესებს. ამ რიგად „ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის“ ამოცანაა—დაეუფლოს პურის ოპერაციებს და მოაწესრიგოს ბაზარი. ამ ფუნქციის შესრულება შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივს ორგანიზაციას, რომელიც ბლომად დაამზადებს პურს.

ამიერ-კავკასიის მოსახლეობის ომის წინა დროინდელი მოთხოვნილება პურზე 50 პროცენტით რომ შევამციროთ ტერიტორიის შემცირებისა და მაშასადამე მჭამელთა რიცხვის შემოკლების გამო, აგრეთვე ნათეს მიწების სივრცის გადიდების მიზეზით და სხვა, მაშინ ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტს მოუხდება პრაქტიკულად გადასწყვიტოს საკითხი 3 მილიონ ფუთამდე ფქვილის და 2 მილ. ფუთამდე ხორბლის ყოველ წლიურად შემოტანის შესახებ. დღევანდელ ჩვენს ნივთიერ მდგომარეობის დროს ეს ამოცანა ადვილი განსახორციელებელი არ არის, მაგრამ იგი მაინც უნდა განვახორციელოთ. წინააღმდეგს შემთხვევაში ასეთ აპარატის არსებობა ყოველგვარს აზრს დაჰკარგავს.

ამის მიხედვით ჩვენ უახლოეს მუშაობის შემდეგი გეგმა გვეხატება. განზრახულია შექმნილ იქმნას ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტისათვის ფონდი 300.000 ფუთი პურისაგან (თვითეულ რესპუბლიკიდან 100,000 ფუთი). ახლა სდგას საკითხი 800 000 ფუთი პურის „ნარიადის“ რეალიზაციის შესახებ, რომელიც გადმოცემულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად და აგრეთვე 16 000 ფუთის შაქრის რეალიზაციის შესახებ, რომელიც გადმოცემულია ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებით.

აი ის საშუალებანი, რომელიც საძირკვლად უნდა ჩაიყაროს ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის ორგანიზაციის დროს. ყველა ეს რასაკვირველია საკმარისი არ არის იმისთვის, რომ თავიდანვე შეუდგეთ გეგმითი მუშაობას და ოპერაციების განვითარებას ფართო მასშტაბით. საჭირო გახდება პირველ ხანად ფულის გადადება სახელმწიფოს მხრით სესხის სახით, ვინაიდან საჭიროა ნაღდი ფული იმ ფქვილის გადასაზიდად და რესპუბლიკებზე დასარიგებლად, რომელიც ორგანიზაციის განკარგულებაშია.

რა სახეს მიიღებს შემდეგში ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტი, ამისი გამოცნობა ძნელია. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ მთელის მხრისთვის პურის დამამზადებელს აპარატს უეჭველად მოუხდება ადგილობრივი პროდუქტების დამზადება და გატანა. ლაპარაკი სპეციალურ საზოგადოებათა შექმნაზე ყოველ კულტურისთვის ცალ-ცალკე ლიტონ სიტყვებად რჩება საშუალებათა უქონლობის გამო.

ჩვენ ძალაუნებურად უნდა შეურიგდეთ იმ გარემოებას, რომელიც ხელს გვიშლის ერთბაშად ხელი მოვკიდოთ სასოფლო მეურნეობის ყველა დარგს.

კაპიტალისტური ქვეყანა უცებ როდი იქნა შექმნილი. მაშასადამე ზედმეტია ლაპარაკი სასოფლო მეურნეობის ყველა დარგისთვის საზოგადოებათა შექმნაზე. ამას ჩვენ უნდა მივესწრაფოდეთ, მაგრამ მას ჩქარა ვერ მივაღწევთ. ამას გარდა საჭიროა დაკვირვება და გამოცდილება, საჭიროა უნარი საფინანსო ცხოვრების პირობებთან შეგუებისა იმისთვის, რომ უცებ დავადგეთ საგანგებო საზოგადოებათა შექმნის გზას.

იმის თქმა, რომ კაპიტალისტებმა სპეციალიზაცია შექმნესო, ჩვენთვის დამაჯერებელი არ არის, ვინაიდან მათ მუშაობა უხდებოდათ უფრო ნორმალურს პირობებში; პირველი ეს და მეორეც ის, მათ ჰქონდათ გამოცდილება და ამისათვის საჭირო საკმაო საშუალებანი.

ჩვენ არც საშუალებანი გვაქვს, არც გამოცდილება.

ამიტომ გვიხდება სიარული ვარაუდით და იძულებულნი ვართ ხელი მოვკიდოთ ადგილობრივი პროდუქტების ნაწილობრივს რეალიზაციას მაინც.

აქედან ცხადია, რომ ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტს მოუხდება აწარმოოს საქონლის გაცვლის ოპერაციები: ადგილობრივის პროდუქტების გადაცვლა ფქვილზე, შაქარზე, ფართლეულზე და სხვა.

პურის განაწილების საქმეში ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტი იხელმძღვანელებს იმ პრინციპით, რომ გამოიყენოს კოოპერატიული ძალები სომხეთისა, საქართველოსი და აზერბეიჯანის ცენტრალურ კავშირთა სახით.

ა. ერქომაიშვილი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

საქართველო

თელავი

პოლიტ-მუშაობა მილიციაში.

თელავი 12 აპრილი. მილიციის უფროსმა მაზრის ყველა რაიონებში დანიშნა პოლიტიკური ხელმძღვანელები. რაც დღიმდე არ ყოფილა. ყოველ კვირას ცენტრში და რაიონებში მილიციისათვის ეწყობა სისტემატიურათ პარტიული და უპარტიო კრებები წერა-კითხვის უცოდინარობას ებრძვიან დამკვიდრებულ წესით. გამომუშავებულია კულტურულ-განმანათლებელი მოქმედების პროგრამა. თელავის მილიციაში განმტკიცებულია რევოლიუციონური დისციპლინა.

აზერბეიჯანი

დახმარება წითელი არმიისადმი.

ბაქო. 12 აპრილი. წითელი არმიისადმი მოწვეული დახმარების საერთო რაოდენობის მიხედვით, ამიერ-კავკასიას უჭირავს მეორე ადგილი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების საკავშირო ყველა ოლქებს და ფრონტებს შორის მიღებული დახმარების გადიდებით კავკასიის ცალკე არმიას წინ უსწრებს მხოლოდ მოსკოვის სამხედრო ოლქი: ამიერ-კავკასიის შეფების დახმარება შეადგენს წითელი არმიის მიერ შეფებიდან მიღებული დახმარების 30 პროცენტზე მეტს. პირველ რიგში სდგას წითელი არმიისათვის ბინების მოწყობის საქმე: ყაზარმების შეკეთება, გათბობა და განათება შეადგენს გაწეული დახმარების 25 პროცენტს, საბინაო საკითხი ყველაფერზე უფრო რთული საკითხი იყო წითელ არმიელის ცხოვრებაში. მეორე სახის დახმარება, რომელიც გამოიხატა 16 პროცენტში ეს არის სურსათი და საქონლის საკვები, შემდეგ მიდის დახმარება პოლიტიკურ-განმანათლებელ საჭიროებისათვის—15 პროცენტი. ტანსაცმლებისა და საცვლებისათვის შეფებმა გაიღეს მთელი დახმარების 3 პროცენტი. სხვათა შორის, დახმარება, რომელიც მიეცა არმიას ამიერ-კავკასიაში კულტურულ-განმანათლებელი საქმისათვის, აღემატება ყველა სხვა ოლქების შეფების მიერ გაწეულ დახმარებას, მაგალითად ამიერ-კავკასიაში—15 პროცენტს, მაშინ, როდესაც მოსკოვის სამხედრო ოლქში უდრის 12 პროცენტს, ყველაზე მეტ დახმარებას არმიას უწევდა აზერბეიჯანი,—83 პროცენტი. შემდეგ საქართველო 11 ნახ. პროცენტი, შემდეგ სომხეთი—3 პროცენტი და სხვა კავკასიის საერთო ორგანიზაციებს. 1922 წ. ყველაზე ძლიერ შეფად ითვლებოდნენ აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭო, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის გარეშე ვაჭრობის კომისარიატის ბაქოს განყოფილება, აზნაფთის სამმართველო, სამთო მადნო წარმოების მუშაკთა კავშირი, აზერბეიჯანის რესპ. სახალხო კომისართა საბჭო, აზერბეიჯანის ცენტრ აღმ. კომიტეტი და ბაქოს საბჭო!

ამხ. ლენინი—საპატიო მანტიორი.

ბაქო. 12 აპრილი მექანიკურ ქარხნის „ბაქოს კომუნის“ მუშებმა დაადგინეს ჩარიცხონ ამხ. ლენინი **საპატიო ელექტრო-მანტიორათ.** ამხ. ლენინი გატარებულია ტაბელებში, მაგრამ მიიღეს რა მხედველობაში ილიჩის ავადმყოფობა, დადგენილია ჩასთვალონ ის ამ ჟამად შვებულებაში მისი სავსებით განკურნებამდე. ხელფასი ყოველთვის შეინახება ამხ. ლენინის სახელზე და მოხმარდება სრულად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებს.

პარტიული ცხოვრება

80-ნ-თი სამილიციო უბნის ახალგაზრდათა კომ-კავშირის იაჩეიკის მუშაობის შესახებ.

ხსენებული იაჩეიკა მოთავსებულია თვით კომისარიატში, რომელშიაც ირიცხება ათი წევრი და ხუთი კანდიდატი. კრებები ხდება საერთოთ კომკავშირის თბილისის კომიტეტის დადგენილების მიხედვით, კვირაში ერთხელ, ორშაბათობით. კრებას ესწრება თითქმის ყველა წევრი; მოხსენებები კეთდება ამხ. აზიმლის მიერ, რომელიც მიმაგრებულია ამ იაჩეიკაზე პარტიული კომიტეტის მიერ.

ამ მოკლე დროში მოხსენებები გაკეთებულ იქნა შემდეგ თემაზე: 1) ქალთა საერთაშორისო დღე და მისი მნიშვნელობა; 2) ორმოცდათორმეტი წლის თავი პარიზის კომუნის; 3) ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების შესახებ და სხვა.

რაიონული კრებები ხდება ორკვირაში ერთხელ, ამ კრებებს ჩვენი ია-

საქართველოს სამეურნეო ფრონტზე

გაზაფხულის თესვის კამპანია.

ა/წ. 15 აპრილისათვის 16 მაზრიდან შემოსულ მოხსენებების თანახმად, გარდა ახალ ქალაქისა, თვითეულ მაზრის განკარგულებაში არსებულ სათესლე მასალის რაოდენობა საკმარისია ღარიბ მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმდინარე თესვის კამპანიისათვის.

ახალქალაქის მაზრაში, კი რომელიც ძალიან დაზარალდა სეტყვისაგან წასულ 1922 წელში, სათესლე ფონდი აღნიშნულ რიცხვამდე უდრის 17,000 ფუთს. მაგრამ ამ რაოდენობით არ დაიფარება მოთხოვნილება და ამიტომ, ამ მაზრას დანარჩენი მასალა დამატებით გადაეგზავნება სხვა მაზრებიდან დარჩენილ სათესლე მარაგიდან.

ამგვარად დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატს მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის სათესლე ხორბლის შეძენა აღარ დასჭირდება.

მიმდინარე თესვის კამპანიას წასულ კამპანიების წინაშე ის უპირატესობა აქვს, რომ თვითეულ მაზრაში არსებული სათესლე მასალა თავის დროზე ურიგდება მცხოვრებთ თესვის დაწყებამდე, და რომ ადგილებზე იმყოფებიან უკვე გამოცდილი მუშაკები, რომელნიც ატარებენ თესვის კამპანიას, წინასწარ ითვალისწინებენ რა იმ შეცდომებს, რომელი მისდიოდათ მათ პირველ კამპანიების ჩატარების დროს. ეს ორი პირობა იძლევა გარანტიას, რომ მიმდინარე თესვის კამპანია წარმატებით იქნება ჩატარებული.

ყველა ცნობებით მტკიცდება ის, რომ ამა წლის დათესილი არე გაიზრდება 1923 წელთან შედარებით.

მართალია ზოგიერთ მაზრებში (ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრაში), სიმინდი, ამ მაზრებისათვის ამ ერთად ერთ სავალიუტო საქონლის სიაფის გამო, შედარებით პირველი მოთხოვნილების საგნებთან, როგორც მაგ ნარმა, თუ არაფერს ვიტყვით სხვა მანუფაქტურაზე შაქარზე და სასოფლო სამეურნეო სარემონტო მასალაზე, გამოსთქვამთ შიშს, რომ მცხოვრებნი აღარ შეეცდებიან დასთესონ სიმინდი თავისი ოჯახური მოთხოვნილებაზე მეტი რაოდენობით, რაც ბუნებრივად გამოიწვევს სიმინდით დათესილ არეს შემცირებას, რის წინააღმდეგ წინადადება მიეცა ადგილობრივ საგრონომიო ქვეგანყოფილებას აწარმოვონ ბრძოლა და დახმარება გაუწიონ შემდეგი სიმინდის გასაღების საქმეს.

საერთოთ ამ წლიდან ადგილობრივ ხორბლის დაბალი ფასების გამო მიწის მუშები უბრუნდებიან ძვირფასი კულტურის მოშენებას: მევენახეობას, მებაღეობას, ბამბის მოყვანას, მეთამბაქოობას, მეაბრეშუმეობას და სხვ., რასაც წასულ წლებში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, მათი სიაფის გამო ხორბლეულთან შედარებით.

ცენტრალური თესვის კომიტეტის გამგე: გლ. ეჟეი.

ჩეიკის წევრები ესწრებიან სისტემატიურად, აგრეთვე ორკვირაში ერთხელ ესწრებით პარტიულ კრებებს.

ერთი სიტყვით, ხსენებული იაჩეიკა თუმცა რიცხვით ცოტაა, მაგრამ თავისი შინაარსით არ ჩამოუვარდება არც ერთ ახალგ. კამკავშირის იაჩეიკას.

ხსენებული იაჩეიკის ბიურო შესდგება სამ ამხანაგისაგან, რომლებიც ბიუროს სხდომას სისტემატიურად ხელმძღვანელობენ, იაჩეიკის პასუხისმგებელი მდივანი დიდ ენერგიას იჩენს კავშირის მუშაობაში.

რაიონულ კომიტეტიდან ცირკულიარებს ვღებულობთ თავის დროზე, რომელიც მოგვყავს სისრულეში.

იაჩეიკის უმრავლესობას შეადგენენ მუშები.

ქ. ჟორდანია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(14 აპრილს)

ოქროს 10 მანეთიანი	8,600.
გირვანქა სტერლინგი	4,250.
დოლარი	980.
ლირა	800.
საბჭოთა ფულის ნიშნები	16,5.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

ზეთი მზესუმზირასი რუსული, ჯაგარი, გოგირდი, შაქრის ფხვნილი იმავე რეზინის ნაწარმოები, რკინა, მანუფაქტურა რუსული, ბამბა, მატყლი, [illegible], წუმწუმა რუსული, შაქრის ფხვნილი რუსული, ცხვრის ტყავი, ფქვილი ყუბანის, ფქვილი „ნელსონი“ და „დურუმი“ ბურღული—1 ვაგონი. ქონი, სარდონი, ნაწლავები ცხვრის, სკიპიდარი, ზამბაბანი, ცემენტი, გასახვევი ქაღალდი, ნარმა, ოდა კაუსტიკური.

ოფიციალური გარიგებანი

მოხდა გარიგება: მატყლზე—7 მან. და 50 კ. ფუთი გამყიდველის ფრანკო საწყობში, და რეზინის ნაწარმოებზე—საერთო თანხა 3.600.000.000 მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

საქონლის ბაზრის განწყობილება

(14 აპრილს)

განწყობილება მტკიცეა. შაქრის ბაზარზე—მტკიცე ნედლი მასალის ბაზარზე—გაცხოველება ემჩნევა. დანარჩენ ბაზარზე უცვლელია.

ძვირფასი ლითონების კურსი.

(14 აპრილს)

ოქრო 96 სასინჯი	3 მ. და 40 კ.
ოქრო 56 სასინჯი	1 მილ. და 70 კ.
მანეთი ბანკის (ვერცხლი)	40 კ.
მანეთი ხურდა ვერცხ.	16,5 კაპ.

ბირჟის მოთხოვნილება.

კალა, წუმწუმა რუს, მანუფაქტურა რუსული, საპნის სუროგატი, ქონი, რეზინის ნაწარმოები, სოდა კაუსტიკ. შაქარი რაფინადი, ხორბალი და პროდუქტები. ფქვილი პირველი ხარისხ., შამბამბანი, გოგირდი, მატყლი თუშური, სამშენებლო მასალები, ბარები რკინის.

საქონლის ბაზრის ფასები

(ბითუმად)

ხორბალი ყუბანის—500—566, ადგილობრივი—400—460, ამერიკული ბრინჯი—3.200, ფქვილი „ნელსონი“—9 ლირა 50 კაპ., ფქვილი „კრუპჩატკა“—1 მ. და 80 კაპ.—2 მან., ადგილობრივი—570—600, შაქარი რაფინადი საზღვარგარეთისა—33—34 წლისა. შაქრის ფხვნილი რუსული—6 მ. და 80 კაპ., კარაქი—1 ხარისხის—14,000—15,000, ნარმა რუსული 16 ვერშ. არშინი—240—270, საპონი მარსელის „მამალი“—ფუთი—24 ლირა.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება.

(14 აპრილს)

ოქროსა და საერთოთ სხვა ვალიუტის კურსი გუშინდელთან შედარებით მტკიცეა და ოდნავ აწეული.

ქრონიკა

საქ. სახურსათო უწყებაში.

— **კავკავის დამამზადებელ კანტორის დახურვა.** სახურსათო სამმართველომ კავკავის დამამზადებელი კანტორა დახურა და სალიკვიდაციოდ გაგზავნილ კომისიას მოსთხოვა ანგარიშების სასწრაფოდ ჩაბარება.

— **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** „მუგმელსტროიმ“ აღძრა შუამდგომლობა სამმართველოს წინაშე მარილის „ლევინოზე გადაცვლის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა.

— **სახალხო სახლის შუამდგომლობა.** ოზურგეთის მაზრის სახურკომმა შუამდგომლობა აღძრა სამმართველოს წინაშე, რათა ზემო ხეთის სახალხო სახლის ასაშენებლად სამმართველომ გაიღოს დახმარება სურსათით. ეს შუამდგომლობა დასაკმაყოფილებულად გადაეცა ამიერ-კავკასიის სახურსათო კომისარიატს.

ქალაქის აღმასკომში.

— **ნაძალადევის ქუჩების შეკეთება.** ქალაქის აღმასკომის საამშენებლო განყოფილება შეუდგა ნაძალადევის ქუჩებში ქვაფენილების დაგებას. გადაწყვეტილია ჯერჯერობით მთავარი ქუჩის შეკეთება.

— **ავლაბრის ხიდის შეკეთება.** აღმასკომის საამშენებლო განყოფილებამ მიიღო წნორის-წყლიდან დიდძალი ხე-ტყე ავლაბრის ხიდის შესაკეთებლად, რომლის შეკეთება დაიწყება ამ დღეებში.

ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში.

— **შეღავათი.** ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დადგენილებით განთავისუფლებულნი არიან წითელ არმიელები და მეზღვაურები საფოსტო ამანათებზე ყოველგვარ ზედმეტ გადასახადისაგან (доплатный сбор).

გამომცემლობა.

— **„საქართველოს სამკურნალო მოამბე“.** ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ გამოსცა თავისი ორგანო „საქართველოს სამკურნალო მოამბე“ № 1. ჟურნალი შეიცავს 64 გვერდს.

სხვა და სხვა.

— **1-ლი სამალარიო ყრილობა.** ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება იწვევს სრულიად საქართველოს პირველ სამალარიო ყრილობას 20 აპრილს, დილის 11 საათზე. ყრილობის ბინა—ანასტასიევის ბაქტერიოლოგიის აუდიტორიაში.

შემთხვევები.

ქურდობა. ნეკრასოვის ქ. № 1 ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაქურდეს შუშანიკა აკოფის ასული მარტიევის მაღაზია, საიდანაც წაიღეს 75 მილიონად ღირებული სხვა და სხვა საქონელი.

— მატინოვის ქ. № 34, ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა გაქურდეს მარიამ მიხეილ კობახიძის ასულის ბინა, საიდანაც წაუღიათ სხვადასხვა ნივთეულობა 305 მილიონ მანეთად ღირებული.

— ოლღას ქ. № 18, ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გაუტეხიათ თეოფილე გიორგის ძე ჯამიშვილის სამკერვალო, საიდანაც წაუღიათ სხვა და სხვა ტანისამოსი 162 მილიონ მანეთად ღირებული.

ხელოვნება

— **ალ. ინაშვილის ბენეფისი.** დღეს, საბ. ოპერის თეატრში, საზღვარგარეთ გამგზავრების წინ გაიმართება მომღერალ ალ. ინაშვილის გამოსათხოვარი ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება „ტოსკა“ და „აბესალომ და ეთერის“ მეოთხე მოქმედება საუკეთესო ძალებით. დირიჟორობს ფალიაშვილი.

კონცერტი. ნაძალადევის თეატრში ხუთშაბათს, 19 აპრილს, გაიმართება მაისურაძის მომღერალ გუნდის კონცერტი. შესრულებული იქნება სახალხო საუკეთესო სიმღერები.

— **კონცერტი.** სახალხო სახლში 20 აპრილს მარო თარხნიშვილის გუნდით გაიმართება ძველი ქართული კონცერტი ფართო პროგრამით.

— **ჟურნალი „ილიონი“.** გამოვიდა ჟურნალ „ილიონის“ № 4. მონაწილეობენ: ი. გრიშაშვილი, ტერ. გრანელი, მარიჯან, ჭუმბაძე, მოსაშვილი, ტატიშვილი, კ. გამსახურდია, პროფ. გრ. წერეთელი და სხ.

— **ვასილ ბარნოვის ნაწარმოებნი.** სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვასილ ბარნოვის რომანი „ამქრის შვენება“ ცალკე წიგნად. განზრახულია მისი დანარჩენი ნაწერების გამოცემაც.

— **ოვანეს თუმანიანის დაკრძალვა.** დღეს, ტფილისში, ხოჯივანიის სასაფლაოზე დაკრძალავენ სომხეთის ცნობილ პოეტს ოვანეს თუმანიანს.

ამიერ-კავკასიის შრომის განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი

თათბირის გახსნა.

13 აპრილს, საღამოს 5 ნახ. საათზე პროფკავშირთა საბჭოს დარბაზში გაიხსნა ა. კ. შრომის განყოფ. წარმომადგენლების თათბირი. თათბირი გახსნა ამხ. იაკუბოვმა რომელიც მიესალმა თათბირს და განაცხადა, რომ ეს თათბირი პირველი თათბირია ამიერ-კავკასიაში, რომელმაც უნდა განიხილოს ჩვენი წარსული მუშაობა და შეიმუშავოს მოქმედების შემდეგი გეგმა.

პრეზიდიუმის არჩევნები.

ამხ. ბახუტოვის წინადადებით, თათბირის პრეზიდიუმში არჩეულია 5 კაცი: იაკუბოვი, იტკინი, იაშვილი, ოსიპოვი და ბახუტოვი. მდივნებათ არჩეულ იქნენ—გოდებრელიძე, ავალიანი და აბრამოვი.

დღის წესრიგი.

პრეზიდიუმმა წარმოადგინა შემდეგი დღის წესრიგი:

1, ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის ანგარიში—ამხ. იაკუბოვი.
2. სოციალური დაზღვევა—ამხ. ბახუტოვი.
3. შრომის ბაზრის მოწესრიგება—ფორერი,
4. შრომის დაცვა—გოდაბრელიძე.
5. საორგანიზაციო საკითხები—იტკინი.
6. ტარიფების და კონფლიქტების შესახებ.

გასარჩევად წარმოდგენილ საკითხებზე დაემატა—საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატის მოხსენება კურორტების შესახებ არჩეულ იქნა სატარიფო-საკონფლიქტო კომისია, სამივე რესპუბლიკათა თითო წარმომადგენლებისაგან და შრომის კომისარიატს 2 წარმომადგენლისაგან.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იაკუბოვი. კამათი მოხსენების შესახებ შემდეგ სხდომისათვის იქნა გადადებული. პირველი სხდომა საღამოს 7 საათზე დაიხურა.

პროფკავშირებში

საექიმო-სასან. დარგში მომუშავე ექიმთა I ყრილობა

დღეს გაიხსნება საექიმო-სასანიტარო დარგში მომუშავე ექიმთა პირველი ყრილობა. ეს ყრილობა ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე ექიმთა ცხოვრებაში ამ ყრილობაზედ უნდა ჩაეყაროს მკვიდრი საფუძველი საქართველოს ექიმთა გაერთიანებას საპროფესიო კავშირში. ორი წელიწადზედ მეტი გავიდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ; ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყველა ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი გაერთიანდენ და მოაწყვეს თავიანთა საპროფესიო კავშირები, მხოლოდ ექიმები აქამდის დარჩენ ამგვარ გაერთიანების გარეშე. ეს დიდი ნაკლი იყო ექიმთა ცხოვრებაში, რადგან ამ გვარ გაერთიანების გარეშე ექიმთა მოღვაწეობა არ შეიძლება იქნეს საკმაოდ ნაყოფიერი, როგორც ექიმთა საპროფესიო ინტერესების დაცვის სფეროში, საექიმო-სასანიტარო აღმშენებლობის საქმეში,

ამ ნაკლის თავიდან აცილება, ექიმთა დაქსაქსულ ცხოვრების მოსპობა და მათი გაერთიანება ერთ მძლავრ კავშირში შეადგენს დღევანდელ ყრილობის ერთს უმთავრეს ამოცანას.

ამგვარ გაერთიანებას შედეგათ მოჰყვება კოლლექტიური შემოქმედება, როგორც საპროფესიო ინტერესების დაცვის სფეროში, ისე საექიმო-სასანიტარო აღმშენებლობის საქმეში ხოლო ამ კოლლექტიურ შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც ექიმთათვის, ისე თვით საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რადგან ეს უკანასკნელი თავის აღმშენებლობის დროს სავსებით ემყარება შეკავშირებულ მშრომელ მოქალაქეთა კოლექტიურ შემოქმედებას.

ყრილობის დღის—წეს-რიგი შემუშავებულია იმ გვარათ, რომ საკმაოთ გაშუქებული იქნება, როგორც საპროფესიო საკითხები, ისე საექიმო-სასანიტარო აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები; ყრილობამ უნდა გამოიმუშავოს ორივე ამ დარგში ძირითადი დებულებანი და მისცეს იგი სახელმძღვანელოთ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში მომუშავე ექიმებს.

ამგვარათ, ექიმთა პირველ ყრილობის ამოცანას შეადგენს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზედ მომუშავე ექიმთა გაერთიანება ერთ საპროფესიო კავშირში, საპროფესიო და საექიმო-სასანიტარო კითხვების გაშუქება და ამ საკითხების შესახებ კავშირის წევრთათვის სახელმძღვანელო დებულებების გამომუშავება.

ვუსურვებთ ექიმთა პირველ ყრილობას, რომ მას ეს თავისი მოვალეობა პირნათლათ შეესრულებინოს.

მედიკო-სანიტარულ კავშირში

მარტის განმავლობაში საორგანიზაციო განყოფილებამ გამართა 53 კრება (ქალაქის ფარგლებში) და გაარჩია 144 საკითხი. განყოფილებამ სიღნაღის მაზრაში მოაწყო მედიკო-სანიტარულ მუშაკთა საერთო ყრილობა. ადგილკომების გაერთიანებულ ყრილობამ დაადგინა გამოსცეს ჟურნალი „მედიკ მუშაკი“ და დაარსოს ურთიერთ დამხმარე კასა.

სექციების მუშაობა.

სექციები, როგორც მაგალითად, საავთიაქო, საექიმო და სხვა მჭიდრო კავშირით მუშაობენ საორგანიზაციო განყოფილებასთან. ექიმთა სექციამ მარტში შეიმუშავა წინასწარი გეგმა ყრილობის მოსაწვევად. ბეითლების ყრილობის მოწვევა განზრახულია 7 მაისისათვის.

წევრთა რაოდენობა.

1 აპრილისათვის კავშირში (რესპუბლიკანურ მასშტაბით) 5,455 წევრი ირიცხებოდა. ტფილისში—3488 კაცი, ადგილკომებში—2,700. სახელმწიფო მომარაგებაზე ირიცხება—1305 კ. სამეურნეო განყოფილებებში—1353 კ. შრომის ბირჟაში—624 კ.

წესისათვის ბუნების

მეტის მეტად ნათელი და გასაგები
არს ბუნების კანონ-წესთა გასაღები.
მაგალითად: როცა სდგება გაზაფხული
და ბუნებაც, ზამთრისაგან პირნახული,
ლამობს ფრთების გაშლასა და გასწორებას
და თავიდან მკაცრი სუსხის აშორებას,
ის აზმორებს, თან მკერდს უწვდის მზისა სხივებს
და ზედ უხსნის თეთრს, წითელს და ცისფერ მძივებს...
მაგრამ, ვაჰ, თუ მიწა მზის სხივს შეხვდა ხარბად
და ინდომა მის ნექტართა შესმა ჭარბათ!
მაშინ კიდევ ერთს კვლავ ზამთარს აგრძნობინებს.
რთვილს მოაყრის, წყლებს დაადებს ხუნდათ მინებს;
შემდეგ ახსნის ამ ბორკილებს მთელს ბუნებას
და მიდამოს აგრძნობინებს ნამდვილს შვებას!..
მზის სხივებ ქვეშ შემდეგ არის უზრუნველი
არე მარე, მთა და ბარი, მინდორ-ველი...
ზომიერი მზის სითბოთი ყველა სტკბება. .
მაგრამ მიწა მზეს მაინც სხივს ევედრება!
ველარ თბება ცეცხლის ხანძრით ხარბი გული
და გაზაფხულს მისთვის მოსდევს თან ზაფხული.
მეტი სითბო!.. მეტი სიტკბო!. მეტი ნდომა! .
და სცვლის ზაფხულს ნოყიერი შემოდგომა.
და მიწაც რომ შესუქდება, შეხურდება.
გაგრილებაც, ვით უწინ მზე, შემურდება.
ზამთარია, მას ამ სურვილს რომ უნელებს,
მაგრამ, სუსხი რა კვლავ საქმეს გაუძნელებს,
კვლავ მზის სხივი მოუნდება ისევ ისე,
კვლავ სითბო და გაზაფხულის სიხალისე!..
და ბუნების წეს-კანონთა ასეთს ტრიალს
ჩვენ ვეძახით დედა მიწის და მზის ტრფიალს!..

ნ. ზომლეთელი.

სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებაში.

სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებამ მარტის თვეში მონაწილეობა მიიღო შემფასებელ საკონფლიქტო მუშაობაში და გაარჩია რამოდენიმე სადაო საკითხები. განყოფილებამ აგრეთვე შრომის ბირჟასთან ერთად გამოარკვია იმ წევრების მდგომარეობა, რომელნიც სოციალურ დაზღვევაში უნდა გატარდეს.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

მედიკო-სანიტარულ კავშირის კულტგანყოფილება, წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით, მარტის განმავლობაში აწარმოებდა მუშაობას, როგორც ქალაქში, ისე პროვინციებში. ტფილისში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია მოხდა. მარტში გაიხსნა სამი სკოლა წერა-კითხვის უცოდინართათვის, სადაც 64 კაცი სწავლობდა, და 4 პირველ საფეხურის სკოლა.

მაზრებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ჯერ არ დასრულებულა. ყველგან იხსნება სკოლები, კლუბები და სამკითხველოები.

კავშირის წევრთა შვილების სასწავლო ფულისაგან განთავისუფლება.

კულტ-განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს კავშირის წევრთა შვილების სასწავლო ფულის შეტანისაგან განთავისუფლების საკითხს და ამ მიზნით მარტის განმავლობაში 66 შუამდგომლობა აღძრა.

პროფ-ტეხნიკური განათლება.

პროფ-ტეხნიკური განათლების სფეროში კავშირმა გახსნა სასკოლო ფერშლების მოსამზადებელი კურსები იმათთვის ვინც პირობით მიღებულია სამკურნალო ფაკულტეტში. ამ კურსებს ინახავს კავშირი.

გახსნილია მოწყალე დების კურსები. ფარმაცევტების კურსებზე მეცადინობა უკვე დასრულდა და ამ ჟამად სწარმოებს გამოცდები.

ფარმაცევტთა მეცნიერული საზოგადოება.

კულტ-განყოფილებამ მიიღო ზომები ფარმაცევტთა მეცნიერულ საზოგადოების დასაარსებლად. შემუშავებულია საზოგადოების წესდება, რომელიც დასამტკიცებლად ჯანმრთელობის კომისარიატს გადაეცა.

მუშათა პრესა.

თითქმის ყველა ადგილკომებმა თავიანთ წრიდან გამოჰყვეს მუშათა კორესპონდენტები, რომელნიც პრესას აწვდიან ცნობებს კავშირის ცხოვრების შესახებ. 16 მარტს მოხდა კორესპონდენტების თათბირი.

წითელ ჯარში

კოოპერაცია ჯარში.

(მთლიანი სამხედრო კოოპერატივი),

დღეისთვის მოწვეული ქართული მსროლელი დივიზიის კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა წითელი ლაშქრისათვის.

კოოპერაციას საერთოთ 80 წლის ისტორია აქვს და მიუხედავათ ამისა ის მაინც ახალია ჯერაც. მით უფრო აღსანიშნავია ფაქტი კოოპერატივის შექრისა ჯარში. დედა-მიწის

მისტიციზმი ქართულ პოეზიაში

ქართველი სიმბოლისტები.

I.

> „Они ищут пути к небу по той простой причине, что сбились с дороги на земле“.
>
> გ. პლეხანოვი.

ადამიანის სიცოცხლის ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს მივყევართ ჩვენ ისეთ ზოგად დასკვნამდის, რომლითაც ამოიწურება თითონ სიცოცხლის აზრი და — მაშასადამე—ადამიანის არსებობის დანიშნულებაც: თავის არსებობის პროცესში ადამიანი შეგნებულად თუ შეუგნებლად, ცნობიერათ თუ ქვეცნობიერათ ისწრაფვის იქითკენ, რომ მისი ცხოვრება აივსოს ესთეტიური განცდებით, რომელთა გარეშე პიროვნება ჰკარგავს თავის ფსიქოლოგიურ ინდივიდუალობას და ხდება უბრალო მანქანათ. რასაკვირველია ფრიად რთულია ამ შემთხვევაში ესთეტიურ განცდათა ბუნება; რთულია იმდენათ, რამდენათ ის სხვადასხვა ადამიანთ, სხვა და სხვა კლასთ ერთნაირად არ აქვთ გაგებული: ის, რაც ესთეტიურია ერთისათვის, რაც იწვევს ესთეტიურ ემოციებს მეორეში, შეიძლება უგემური იყვეს მესამესათვის. საზოგადოთ ესთეტიური განცდა, როგორი შინაარსისაც არ უნდა იყვეს ის, ადამიანის არსებობის საყურადღებო და თანაც ძლიერი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელიც აშკარავებს და ყველასათვის ცხადს ჰყოფს მის (ადამიანის) „მე“-სა და ინდივიდუალობას. აქ მე არ ვეხები ესთეტიურ განცდათა პრობლემას გენეტიურის თვალთსაზრისით.

ასე, ამ რიგად განცდა დინამიური სილამაზისა [illegible] ნიადაგს ადამიანში გრძნობათა თანწყობას, რაიც აუცილებელია პიროვნების მთლიანობისათვის.

პიროვნების მთლიანობისა და მისი ფსიხიკის გამომუშავების საქმეში დიდ როლს თამაშობს ხელოვნება. ესთეტიური განცდები აუცილებლად ხელოვნებიდან იწყება... ხელოვნება აძლევს მიმართულებას ადამიანის ფსიხიკას; და ამიტომაც მას დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივისტური ფსიხიკის შექმნის საქმეში. ხელოვნებას პროლეტარიატისათვის აქვს მხოლოდ ერთი დანიშნულება: წარმართონ მისი ფსიხიკა სალ კოლექტივიზმისაკენ. ამას შესძლებს მხოლოდ პროლეტარული ხელოვნება, პროლეტარული პოეზია. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ლიტერატურულ საქართველოში?

მე მინდა ამ შემთხვევაში მკითხველის გულისყური მივაპყრო იმ ლიტერატურულ ქარ-ბუქს, რომლითაც დახასიათდა სიმბოლიზმის გადმონერგვის პროცესი საქართველოში, და რომელიც დღეს ასე თუ ისე ჰეგემონიურ მდგომარეობაში იმყოფება.

როგორც საზოგადოთ ყოველგვარ ნოვატორებმა, სიმბოლისტებმაც დაიწყო ფუტურიზმით, „ცისფერ ყანწების“ თამადა პაოლო იაშვილი თავის „პირველ—თქმაში“ („ცისფერი ყანწები“ № 1) პათეტიურად აცხადებს: „...ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას, უარვყოფთ წარსულს, **როგორც გზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს**, წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადვისროლეთ დავიწყების ზღვაში“... (ხაზი ჩემია—შ. დ.) ქართველი სიმბოლისტები ანუ „საქართველოს ახალი მწერლობა—სწერს **პავლე ინგოროყვა**, ქართულს ლიტერატურაში შემოდის, როგორც ციკლონი, რომელმაც დასძრა ადგილიდან ყველა ძველი ნივთები. ახალი მწერლობა ამის შემდეგ ხდება **ერთად ერთი მემკვიდრე ქართული ლიტერატურის თაობათა ცვლის.** (ხაზი აქაც ჩემია—შ. დ.) ამ რიგად პრეტენზიები საკმაოთ დიდია: ერთად ერთი მემკვიდრე ქართული ლიტერატურის... სიმბოლიზმი.

მართალია სიმბოლიზმს გავლენას ვერ აცდა ვერც ერთი პოეტი, ვერც ერთი ჯგუფი, მაგრამ ის მაინც არ შეიძლება დაისახოს დღეს, როგორც „ერთად ერთი მემკვიდრე ქართული ლიტერატურისა“.

ძველი საქართველო და მისი პოეზიაც ისტორიას ჩაბარდა. ახალი საქართველო ჰქმნის თავის პოეზიას, პოეზიას პროლეტარულს, პოეზიას ახალი ადამიანის, მაგრამ ამ შექმნის პროცესში ის ხდება საკმაო დიდ დაბრკოლებათ. ერთი ასეთი დაბრკოლებათაგანი ქართული სიმბოლიზმია, რომლის ბუნების გაგება ნიშნავს მის საბოლოო დამარცხების გაადვილებას.

რა არის სიმბოლიზმი? სად წარმოიშვა იგი?

სიმბოლიზმში საზოგადოთ უნდა აღინიშნოს ორი მომენტი: სიმბოლიზმი როგორც მეთოდი, და სიმბოლიზმი როგორც განსაზღვრული **მიმართულება**, როგორც შკოლა.

ამ ორი მომენტის ერთმანეთში არევა იმ მოსაზრებითაც შეუძლებელია, რომ შესაძლებელია პოეზია იყვეს სიმბოლისტური, შესაძლებელია პოეტური იდეა სიმბოლოებში იყვეს დამალული—მაგრამ პოეტის შემოქმედებაში უარყოფილ იქნეს სიმბოლიზმი, როგორც განსაზღვრული პრინციპიალური მოვლენა. მართლაც და სიმბოლიზმ მეთოდოლოგიურის თვალსაზრისით ვერც ერთი პოეზია ვერ უარყოფს. პოეტი იღებს სახეებს სინამდვილისაგან და მათ თავის პოეტურს შემოქმედებაში განსაზღვრულს სიმბოლოებში გამოხატავს. სიმბოლოების შერჩევაში თავისებური ესტეტიური ინტუიცია მეღვაწდება. ისეთი უკიდურესი რეალისტური პოეზია, როგორიც არის პროლეტარული, ისიც ღებულობს სიმბოლიზმს როგორც მეთოდს, როგორც წესს ლექსის შექმნისას. საქართველოს ერთი უნიჭიერესი პროლეტარული პოეტი **იონა ვაკელი** თავის პოემაში „მსოფლიო ელის“... საკმაო სიცხადით ადასტურებს აქ გამოთქმულ მოსაზრებებს:

…„**და ლანდი** შორი, ცქრიალა ფერის
ევლება მინდვრებს, მთებს და ქალაქებს;
ციდან ჩამოხტის **ელვის ჩანჩქერი**
და სწვავს მსოფლიოს მტკივან ალაგებს“...

პოეზია, რომელიც უარყოფს სიმბოლიზმს—ზემო აღნიშნული გაგებით ჰგავს პუბლიცისტიკას, ვინემ საგანთა თუ მოვლენათა ესთეტიურ ათვისებას.

მაგრამ, ლიტერატურულ საქართველოს სინამდვილეში ჩვენ გვაინტერესებს სიმბოლიზმი არა როგორც მეთოდი, არამედ როგორც შკოლა, როგორც მთელი მიმართულება. მეტათ სიმპტომატიურია ის გარემოება, რომ ქართველ სიმბოლისტებს ძლიერ უყვარსთ **პარიზი.** „საქართველოს შემდეგ—ამბობს თავის „მანიფესტში“ **პ. იაშვილი**—პარიზი უმშვენიერესი ქვეყანა არის. ადიდე ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც მაგიური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები—**ვერლენი და ბოდლერი**, მალარმე სიტყვის მესაიდუმლე და არტურ რემბო—სიამაყით მთვრალი დაწყევლილი ჭაბუკი“... პარიზი ჰხიბლავს ადამიანს იმიტომ, რომ იქ „ცოფიანათ დაჰქრიან ავტომობილები, გასაფრენათ გამზადებულან ცეპელინები“ (**ტიციან ტაბიძე**),—მაშასადამე აუარებელი სიმდიდრე და ფუფუნება, შანტანები მთელი თავისი ატრიბუტებით და შიშველი ქალებით—აი რა იპყრობს და რა იზიდავს პარიზში წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ხარბ და გაუმაძღარ თვალებს.

პარიზმა შექმნა თავისებური სახეები... და ამიტომაც უმთავრესათ აქ ჩაეყარა საფუძველი სიმბოლისტურ შკოლას პოეზიაში. ამ რიგად სიმბოლიზმი ქალაქის პირმშო შვილია და უმთავრესათ კი ისეთი ქალაქის, სადაც მკაფიოთ სჩანს ბურჟუაზიული წყობილების მთელი მორალური სიძაგლე; ამ გარემოებას არ შეეძლო შესაფერისი გავლენა არ მოეხდინა სიმბოლიზმზე. რა ახასიათებს მას?—უკიდურესი ინდივიდუალიზმი. **ალ. ბლოკი** სიმბოლიზმის ძირითად თეზისს გამოხატავს შემდეგნაირათ: …„**შენ** თავისუფალი **ხარ** ამ... ქვეყანაში; **შექმნი** რაც გსურდეს, რადგანაც ეს **მსოფლიო გეკუთვნის შენ**“. **სოლოგუბის** შემდეგი სიტყვები ლოგიკური დასკვნაა ალ. ბლოკის თეზისის: „მე—საიდუმლო ქვეყნის ღმერთი ვარ, მთელი სამყარო—ჩემს საკუთარს ოცნებაშია“.

ალ. ბლოკის აზრით სიმბოლისტათ შექმნა შეუძლებელია, სიმბოლისტათ ადამიანი უნდა დაიბადოს. „სიმბოლისტი თავიდანვე **თეურგია,** ე. ი. საიდუმლო ცოდნის მქონე“ (ალ. ბლოკი). ასე ამ რიგად—თავისუფალი შემოქმედება, რომელიც ულტრა-ინდივიდუალიზმში გადადის, ლტოლვა ყოველივე **არა** ჩვეულებრივისადმი, უცნაურობისადმი (საიდუმლო ცოდნა, საიდუმლო მოქმედება)—აი რა ახასიათებს სიმბოლიზმს.

მიუხედავათ ამ უკიდურესი ინდივიდუალიზმისა, სიმბოლისტების შემოქმედების თემაში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ის საერთო მომენტები, რომლებიც ობიექტიურათ გამართლებულია **სიმახინჯის ესთეტიკის თვალთსაზრისით.** სიმახინჯის ესთეტიკა—სიმბოლიზმის ცენტრალური მომენტია. როგორია ამ ესთეტიკის კონკრეტი სახეები, ანუ რა არის კონკრეტულათ თემა სიმბოლისტების ესტეტიური შემოქმედების?

შემცდარია ის შეხედულება, რომელიც სიმბოლიზმს უკიდურეს ანტირეალისტურ პოეზიათ სთვლის. სიმბოლიზმი აუცილებლად რეალიზმის ერთე-ერთი **თავისებური** სახეა. ჩვენ ვლაპარაკობთ **თავისებური** იმისათვის, რომ გარდა ქვალიტატიური განსხვავებისა რეალობის ათვისებაში სიმბოლიზმსა და **ხალ** რეალისტურ პოეზიას შორის—არის აგრეთვე მეთოდოლოგიური განსხვავებაც, რაიც სიმბოლიზმის მეტაფიზიკურს ბუნებაში მკაფიოდ გამოსჭვივის.

როგორც აღვნიშნეთ სიმბოლისტების ესტეტიური კულტი არის **სიმახინჯე.** სიმახინჯე კი ბურჟუაზიულ წყობილების ერთ-ერთი მომენტია. სიფილისი და ქლექი—ამ სიმახინჯის კონკრეტი გამოხატულებაა; ხოლო თვითმკვლელობის კულტი სიფილისს და ქლექს ლოგიკური დასკვნაა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თვითმკვლელობა ქართველ სიმბოლისტებს იდეალათ გაუხდიათ. პ. იაშვილს ენატრება ის დღე, როდესაც ის მყრალ დარაბებზე თავს ჩამოიხჩობს. **ტიციან ტაბიძეს** უყვარს საქართველოში ცხოვრება, რადგანაც მისი აზრით საქართველო თვითმკვლელობაა:

…„მუხრანის ხიდზე დასახრჩობათ კიდევ დავდგებით
საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა
ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავ დადებით
ამიტომ მოგვწოვს და შეგვინდობს ჩვენ ეს ოხობა.

სიმბოლისტების მიერ გამართლებული თვითმკვლელობა აუცილებლათ თავისებური დეზერტირობაა ცხოვრებისაგან. ასეთს დეზერტირებს ფსიქოლოგიურად იპყრობს მისტიციზმი. მისტიკა სიმბოლისტების მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია. „სარწმუნოების გარეშე—აცხადებს **ტიციან ტაბიძე**—ცხოვრება არ შეიძლება, აქ იწყება მითის ქნა, გაძარცულ სამსხვერპლოზე ჩნდებიან მითის მქნელნი“—...**პავლე ინგოროყვა** ახალი მწერლობის კავშირის სახელით ლაპარაკობს: „ხელოვნება უთუოთ არის ერთ-ერთი სახე რელიგიის, კავშირის: იგი არის საკრალური კავშირი საგნებთან, მსოფლიოს მატერიალურ ფორმებთან“... და შემდეგ... „ჩვენ გვინდა ვთქვათ, ჩვენ ვხედავთ, ჩვენ ვგრძნობთ: მისტიური კონტრაქტი ხელოვანსა და ნივთებს შორის უნდა განახლდეს. ხელოვნება, როგორც საკრალური კავშირი საგნებთან, მსოფლიოს მატერიალურ ფორმებთან შეუძლებელია დაირღვეს. დედამიწა არასოდეს არ ანელებს სიყვარულს“.

ასე, ამ რიგად მისტიციზმი—ლოღიკური დასკვნაა იმ სინამდვილის, რომელსაც უმღერის სიმბოლიზმი, როგორც თავის ესთეტიურ თემას.

II.

როგორც საზოგადოთ ხელოვნება—ისე სიმბოლიზმი პოეზიაში ემსახურება სოციალურად განსაზღვრულ კლასს. ზეკლასიური ხელოვნება—ეს უტოპიური ჩმახვაა, თეორეტიული ვარჯიშობაა მხოლოდ და სხვა არაფერი. საზოგადოთ თეორეტიულად ბურჟუაზიული იდეოლოგია „ამტკიცებს“ ხელოვნების ზეკლასიურს ხასიათს: ბურჟუაზიის თეორეტიკოსები ყოველ გზა—ჯვარედინზე სცდილობენ დაამტკიცონ მაგ. თეატრის მაგიური ბუნება; მაგრამ პრაქტიკულად ისინი ჰქმნიან ნამდვილს კლასიურ თეატრს, რაიც გამოიხატება ინტიმურ ნატურალიზმის კულტში, რომელიც დღეს გაბატონებულია დასავლეთ ევროპის თეატრებში. ეს ფაქტი საკმაო სიცხადით ნათელსჰყოფს იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგების თეორეტიულ წინამძღვრებს ერთიანათ უარყოფს მათი პრაქტიკული მოღვაწეობა, მათი პრაქტიკული დასკვნები. ასეთივე მდგომარეობაა ქართველ სიმბოლისტების მიმართ. იმათაც—რასაკვირველია ვერ წარმოუდგენიათ „ხელოვნება—ცხოვრებისათვის“, (თუმცა მათ და განსაკუთრებით კი მათ ქურუმს **გრ. რობაქიძეს** ემჩნევა ამ ბოლო დროს ტენდენცია „მიწასთან დაბრუნებისა“ — (ლექსი „ვასაკა“) მაგრამ მიუხედავათ მათი თეორეტიული მრწამსისა, სიმბოლიზმში საკმაო სიცხადით სჩანს განსაზღვრულ კლასის პორტრეტი, რაიც ხდის მათ ამ **კლასის პოეტებათ** *) როგორია ეს პორტრეტი? როგორია სიმბოლიზმის სოციალური აზრი?

როგორც აღვნიშნე სიმბოლიზმი გაჩნდა პარიზში. პარიზი მორალურად კაპიტალისტური წყობილების კლასიკური გამოხატულებაა. არც ერთს ქალაქში, არც ერთ ქვეყანაში კაპიტალიზმის მორალური ბუნება ისე მკაფიოთ არ გამოჩენილა, როგორც პარიზში. პარიზი გახდა კლასიკური ქვეყანა პროსტიტუციისა, რომელიც კაპიტალისტური წარმოების ლოღიკური თანამგზავრია.

საწარმოო ძალთა თავბრუდამხვევმა განვითარებამ საკმაო სიცხადით ჩამოაყალიბა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის სოციალური ფიზიონომია.

პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ზრდა და განვითარება ნიშნავს წვრილი ბურჟუაზიის გაჭკლეტასა და განიავებას. ამიტომ წვრილი ბურჟუაზიის დეგრადაციის პროცესი მათვის აპოგეიას აღწევს მანქანურ კაპიტალიზმის ხანაში, როდესაც ორი რეალისტური კლასი—ბურჟუაზია და პროლეტარიატი გარკვეული პროგრამით ურთიერთ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ.

წვრილი ბურჟუაზიის ეკონომიური იდეალი არ სცილდება მის კერძო საკუთრების ფარგალს. წვრილი ბურჟუაზიის მიზანი გამდიდრებაა; მაგრამ (ცხადია, ის თავის მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც უსუსურია მსხვილ წარმოებასთან კონკურენციაში. მსხვილი წარმოება ანიავებს და ერთიანათ სპობს წვრილ წარმოებას—ამ ეკონომიურ ფუძეს წვრილი ბურჟუაზიისას. კონკურენციის მკაცრი ლოღიკა ეკონომიურათ ჰკლავს წვრილ ბურჟუაზიას. ფაქტიურათ უმაღლესათ განვითარებული მანქანური კაპიტალიზმი—წვრილი ბურჟუაზიის აგონიაა, მისი სასიკვდილო განაჩენია.

წვრილი ბურჟუაზიის იდეური კადრი უმთავრესათ ინტელიგენციისაგან შესდგება.

ინტელიგენციას სოციალურად არასდროს არ ჰქონია გარკვეული ფიზიონომია. სოციალურ ბრძოლაში მას ახასიათებს მერყეობა და საზოგადოთ პასიობა. ამით აიხსნება ის ფსიქოლოგიური მოვლენა—შიში—რითაც ხასიათდება ინტელიგენცია ყოველ რევოლიუციონურ ხანაში.

სოციალურ დიფერენციაციის შინაგან ძალას რასაკვირველია არ შეეძლო უყურადღებოთ დაეტოვებია ინტელიგენცია: ერთი ნაწილი იდეიურათ დაუკავშირდა მსხვილ ბურჟუაზიას, მეორე ნაწილმა შეითვისა პროლეტარული ფსიხიკა, პროლეტარული იდეოლოგია და მიემხრო მუშათა კლასს; ხოლო საგრძნობმა ნაწილმა ინტელიგენციისამ აირჩია „ზეკლასიურობის“ გზა და თავისი თავი ვითომ და ყოველგვარ პარტიის გარეშე გამოაცხადა. განსაკუთრებით მკაფიოთ სჩანს ინტელიგენციის მთელი თავისებურება ამ ე. წ. უპარტიო ინტელიგენციაში. ეს უკანასკნელი პოლიტიკურათ კონსერვატორია, ხოლო ეკონომიურად მისი იდეალი არ სცილდება კერძო საკუთრების ფარგლებს, რის გამო ის ეკონომიურათ რეაქციონერია. აი სწორედ ეს „უპარტიო“ ინტელიგენცია გამომხატველია წვრილი ბურჟუაზიის სულის კვეთების, მისწრაფებების და მთელი მის ბუნების. წვრილი წარმოების დამარცხება აკოტრებს და ერთიანათ ალატაკებს „უპარტიო“ ინტელიგენციას. ამ ინტელიგენციის მიზანი—გამდიდრება—ფიქციათ ხდება. ამ რიგად საწარმოო ძალთა კინემატოგრაფიული სისწრაფეით განვითარებამ ერთიანათ გამოაცალა უპარტიო ინტელიგენციას მატერიალური საფუძველი.

ასეთს პირობებში ინტელიგენციას სძაგს სინამდვილე, რომელმაც ის მოჰკლა და გაანადგურა; მას უაღრესი პესიმიზმი მოიცავს. ის ეძებს თავდავიწყებას. ამიტომ მას უყვარს ის სინამდვილე, სადაც შეიძლება ადამიანი მიეცეს თავდავიწყებას. ამ სინამდვილის ატრიბუტებია ლოთობა, გარყვნილი ცხოვრება—ხოლო ამათი თანამგზავრი: სიფილისი, ქლექი და თვითმკვლელობა. აი სწორედ ამ „უპარტიო“ ინტელიგენციამ გაიხადა თავის პრაქტიკულ კულტათ ეს სიმახინჯე, რადგანაც აქ შეიძლება არა თუ დროებით, არამედ სავსებითაც თავ დავიწყების მიცემა.

ეს ინტელიგენცია უმღერის ქიმერებს, თვითმკვლელებს და სიფილიტიკებს...

ეს სავსებით ბუნებრივია. პიროვნება, რომელიც სოციალურად პესიმისტი გამხდარა, რომელსაც (პესიმიზმს) საფუძვლათ უდევს მისი ეკონომიური გაკოტრება სავსებით—აუცილებლად გახდება სიმახინჯის ესთეტიკის მოტრფიალე. ფსიქოლოგიურად და ისტორიულად ეს დებულება სავსებით მართლდება.

სიმბოლისტების არსებობა ამ დებულების საუკეთესო გამართლებაა,

სიმბოლიზმი სწორედ აი ამ ეკონომიურად გაკოტრებულ ინტელიგენციის სულის-კვეთების გამომხატველია.

სიმბოლიზმი წვრილ-ბურჟუაზიული პოეზიაა. მას ცხადია ვერ გაიზიარებს პროლეტარიატი, რომელსაც აქტიობა და ოპტიმიზმი ახასიათებს. პროლეტარიატი ებრძვის მისტიციზმს, ქიმერებს, რომელიც შეიყვარა სიმბოლიზმმა, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულმა პოეზიამ.

დიდმა ქალაქმა შექმნა სიმბოლიზმი, მაგრამ იგივე დიდი ქალაქი მოსპობს მას.

ასეთია საზოგადოთ სიმბოლიზმი.

რაც შეეხება ქართულ სიმბოლიზმს, **მას განსაზღვრული პოლიტიკური მოტივებიც ახასიათებს.** თუმცა ქართველი სიმბოლისტები ხშირად ლაპარაკობენ, რომ მათ „სიყვარულის ბაღებში ვერ შემოიჭრება პოლიტიკური დეკრეტები“—მაგრამ ძალიან ხშირად მათ ლექსებში საკმაო სიცხადით შეგვიძლია დავინახოთ მათი პოლიტიკური სულის-კვეთება. ვირების აპოლოგეტი **რაჟდენ გვეტაძე** (იხ. მისი ლექსი „მანიფესტი ვირებს“) თავის ლექსში „საქართველო“ ამბობს:

…„შორს უნდა იქნეს საქართველოს დროშის საზანი
გამარჯვებულნი ვაძალებდით ერთმანეთს კვარტებს
და ახალს ვსწერდით გადიდებულს საზღვრების ქარტებს
რომ სოლომონმა გაიხაროს იასამანით“... („ღამეები“).

ვირების აპოლოგიამ პოეზიაში **რაჟდენ გვეტაძე** პოლიტიკაში მიიყვანა.... იმპერიალიზმამდის. მაგრამ რასაც რ. გვეტაძე გამოსთქვამს განყენებულად, **პაოლო იაშვილი** უფრო კონკრეტულად სახავს. თავის ლექსში, რომელიც მან უძღვნა **პავლე ინგოროყვას**, რომელსაც იაშვილი სთვლის „წარსულ დიდების (?) დარდათ“—სწერს:

…„ძმა ინგოროყვა! ჩვენება არი
და ტკბილის ტანჯვით მოსაგონები
მწველ ინდოსტანში ქართული ჯარი
და ტრაპიზონში გარნიზონები.
დაგვიბრუნდება ის ნეტარება
ამაყ დღეების გადაჩვეულებს
თუ პოეზია შეედარება
ჯვარზე გასალტულ წმინდა რჩეულებს“...

ასეთია ქართული სიმბოლიზმის პოლიტიკური ფილოსოფია.

მაგრამ როგორც სამყაროს ერთს მეექვსედზე პროლეტარიატის რკინისებურ ნებისყოფამ დაანგრია და ნაცარტუტათ აქცია ბნელი იმპერიალიზმის და მყრალი ცხოვრების პრაქტიკული სიმბოლო—ბურჟუაზიული რუსეთი, ისე საქართველოს პროლეტარული პოეტები ცეცხლის ხმებით შეანგრევენ იმ კედელს, რომლის იქით იმალება წვრილ ბურჟუაზიული სიმბოლიზმი და მსხვილ-ბურჟუაზიული იმპერიალიზმი. ამის სიმპტომები საქართველოში უკვე არის, და ერთი ასეთი სიმპტომთაგანია ახალგაზრდა პროლეტარული პოეტის პეტრე სამსონიძის ლექსთა კრებული „ცეცხლის ხმები“, რომელსაც გავარჩევ შემდეგ წერილში.

შ. დუდუჩავა.

---

*) საკითხი ხელოვნების კლასიურობის შესახებ—ისევე ძველია, როგორც თვით ხელოვნება. მიუხედავათ ამისა ამ საკითხს დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რისთვისაც დეტალურად შევეხები მას მეორე წერილში, სადაც ლაპარაკი მექნება პროლეტარულ პოეზიაზე.

ავტორი.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: აქვს თუ არა დაქირავებულს უფლება, თუ ამაზე არ მიიღო მან წინდაწინ თვით დამქირავებლის თანხმობა, თავისი სამუშაო გადასცეს სხვა პირს?

პასუხი: დაქირავებულს თავის სამუშაოს სხვა პირზე გადაცემის უფლება არა აქვს, თუ თვით ადმინისტრაცია ამაზე წინდაწინ არ მისცემს მას თანხმობას; მხოლოდ არტელს, რომელსაც აქვს დადებული კანონიერი ხელშეკრულება, შეუძლია თავის შეხედულებით განაწილოს სამუშაო არტელის წევრებს შორის.

კითხვა: შეუძლია თუ არა დამქირავებელს მოითხოვოს დაქირავებულ მუშა-მოსამსახურისგან იმ გვარი სამუშაოს შესრულება, რომელსაც არა აქვს არავითარი დამოკიდებულება (სულ სხვა ხასიათისაა) იმ სამუშაოსთან, რომელშიაც ის იქნა მოწვეული?

პასუხი: დამქირავებელს არა აქვს არავითარი უფლება მოითხოვოს მუშა-მოსამსახურისგან სულ სხვა, ვიდრე მის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს, მუშაობის ასრულება, აგრეთვე მას არ შეუძლია გაგზავნოს მუშა-მოსამსახურე ისეთ სამუშაოზე, ან მოითხოვოს მისგან ასრულება იმისთანა სამუშაოსი, რომელიც აღკრძალულია შრომის კანონებით და მისი ჯანმრთელობა-სიცოცხლისათვის მეტად მძიმე და სახიფათოა.

კითხვა: შეუძლია თუ არა დამქირავებელს თავის ძალა-უფლებით დააჯარიმოს დაქირავებული მუშა-მოსამსახურე?

პასუხი: არა, არ შეუძლია, თუ კი დაჯარიმების უფლება მას არა აქვს მინიჭებული მთავრობის რაიმე განსაკუთრებული დადგენილებით ან და შინაგან მოწესრიგების წესებით.

(იხ. კოდექსი შრ. კან. მუხ. 35, 36, 48).

კოლოფის საბჭოთა პირველი ქარხანა

მიმდინარე წლის 6 აპრილს შესდგა აღნიშნულ ქარხნის კომიტეტის პლენუმის სხდომა, რომელსაც დაესწრენ ფაბკომი, კოლკავშირის, კულტკომისიის, სახალხო განყოფილების და სარევიზიო კომისიის წევრები და ადმინისტრაციის მხრივ ამხანაგი ფრიდონოვი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) რურის ოლქის მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ; 2) საჰაერო ფლოტის საკითხი; 3) მოსკოვის ცენტრ. გაზეთების გამოწერის შესახებ.

პირველ ორ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფრ. ფრიდონოვი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელიც შექმნეს საფრანგეთის ულმობელ და უწყალო ოკუპანტებმა რურის ოლქში და რომლის გამო რურის მუშები განიცდიან აუტანელ მონობას და სიღატაკეს. ამისათვის მომხსენებელი იძლევა წინადადებას—გადაიდოს მუშების მიერ რურის მუშების დასახმარებლად შესაძლო თანხა.

ამასთან ამხ. ფრიდონოვი აღნიშნავს საჰაერო ფლოტის კულტურულ და სამხედრო მნიშვნელობას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში და მოუწოდებს პლენუმს — აღნიშნულ ფლოტისათვისაც გადაიდოს ერთდროული დახმარება.

პლენუმი ამხ. ფრიდონოვის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში გამოსთქვამს თავის გულისწყრომას და პროტესტს საფრანგეთის მოძალადე—ოკუპანტების წინააღმდეგ და შემდეგ, ითვალისწინებს რა რურის მუშების კატასტროფიულ მატერიალურ მდგომარეობას და საჰაერო ფლოტის უდიდეს მნიშვნელობას სამხედრო და კულტ-განათლების ფრონტებზე, ერთხმად ადგენს გადაიდოს ამ ორ საქმისათვის ადგილობრივ მუშების მიერ დღიური ხელფასი თანასწორად გასანაწილებლად მათ შორის.

პლენუმმა გადასწყვიტა აგრეთვე ფაბკომის თანხის საშუალებით გამოწერილ იქნას „მოსკოვსკაია პრავდა“, „იზვესტია“, „რაბოჩაია ჟიზნ“ და ჟურნალი „კრასნაია ნივა“.

ინჟ.-კორ. ადგილობრივი.

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ელექტრო-სადგურის მუშათა ცხოვრებიდან.

სადგურში მუშაობს სულ 8 კაცი, რომელთა შემადგენლობიდან ერთი გამგეა. თვითეული მუშა სპეციალისტია თავის თანამდებობისათვის. სადგურში მუშაობა სწარმოებს დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან ღამის 2 საათამდე. სამუშაო დრო მუშებს შორის წესიერათაა განაწილებული და აქ არ ყოფილა შემთხვევა, რომ როდესმე დარღვეული ყოფილიყოს მუშებისათვის უფლებით მინიჭებული ნორმალური სამუშაო დრო. აქ სამუშაო დროთ დაწესებულია 8 საათი. მართალია, ძალიან ხშირად აქ მომუშავეთ უხდებათ ზედმეტ საათებშიაც მუშაობა, მაგრამ ეს აუცილებელი არის წარმოების ნორმალური მსვლელობისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზედმეტი საათების მუშაობითაც კმაყოფილებას გამოსთქვამენ თვით მუშები, რადგანაც ისინი ღებულობენ ზედმეტ გასამჯელოს—2 საათის მუშაობის 3 საათის ანგარიშით. ჯამაგირს მუშები ღებულობენ ყოველ თვიურად წინდაწინ ნახევარ თვისას. აქვთ მათ დახმარება განათებით. თვითეულ მუშას აქვს თავის დროზე აგრეთვე საექიმო დახმარება. კულტურული მდგომარეობა ამ მუშებისა მაღლა დგას, მათ აქვთ საკუთარი თეატრი და სამკითხველო. ამ სადგურში მემანქანე მუშებთან საუბრით ირკვევა, რომ მუშები საკმაოდ განვითარებული არიან ძალიან ეტანებიან კულტურას და თვითგანვითარებას.

ინჟ. კორესპ. ჩხმელი.

მშრომელთა არტელი

„კომუნა“-ს სალიკვიდაციო კომისიისაგან.

(საპასუხო წერილი იხ. „კომუნისტი“ № 68)

ას ხუთი მილიონი მანეთი მოქ. არევაძეს, სრულიადაც არ დაკლებია, არამედ ჰქონდა მას დახარჯული არტელის საქმეების მოსაწყობათ, რისი სინამდვილის გამორკვევა მინდობილი ჰქონდა სარევიზიო კომისიას. უკანასკნელმა ნათლად დაასურათა მესამე არტელის ყრილობაზე, ის ფაქტი, რომ ეს ფულები ნამდვილად დახარჯული იყო არტელის საქმეების მოსაწყობად და მის პირადი სარგებლობისთვის ეს ფულები არ ყოფილა გაფლანგული, როგორც ფიქრობენ ზოგიერთი ამხანაგები. მესამე ყრილობამ—პრეზიდიუმის, თვითონ არევაძის და სარევიზიო კომისიის განმარტების შემდეგ ხსენებული ფულის დახარჯვა სრულიად კანონიერად იცნო და სამუდამოდ ეს საკითხი გადასჭრა (რასაც ამტკიცებს თვით ყრილობის ოქმი). ამიტომ ეს საკითხი სალიკვიდაციო კომისიას სრულიადაც არ ეხება, როგორც საბოლოოდ გადაწყვეტილი საკითხი ყრილობის მიერ.

ყოფილი არტელის სალიკვიდაციო წევრები:

1) განო ხეფერთილაძე, 2) ილიკო თოდრია, 3) კაკიკო უჯმაჯურიძე.

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორები.

— 6 აპრილს მე-3 რაიონის ინსპექტორ სუხორუკოვის მიერ აღმოჩენილი იქნა შემდეგი:

ფეხსაცმლის სახელოსნოს პატრონი **გედევან ჩუბინიძე** (რუსის ქ.) ამუშავებდა ორ ყმაწვილს 17 წლისას —თეოფილე კოპლაშვილს და გარსო არუტინოვს—10—11 საათს ყოველ დღიურად, მასთან მუშებს სანგარიშო წიგნაკი არ ჰქონდათ და არც დაზღვეული იყვნენ.

— ამავე დღის მოხდარმა რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ქუდის სახელოსნოს პატრონ (ქვაფენილის ქ. № 2) **ნიკოლოზ სამებელაშვილთან** მუშაობდა 2 ხელოსანი პაეს მარტიანოვი და რუბენ ხაჩატურიანცი, რომელნიც შრომის ბირჟის გარეშე არიან მიღებული და რომელნიც მუშაობდნენ 9—10 საათის განმავლობაში ყოველდღე, სანგარიშო წიგნაკები მათ აღარ აღმოაჩნდათ და ისინი არც დაზღვეულნი არიან. აღნიშნულ ფაქტებზე შრომის კანონების დარღვევისათვის შედგენილია ოქმები.

— 10 აპრილს შრომის ექსპლოატაციისათვის ამხ. სუხორუკოვმა ოქმი შეუდგინა „ბუბლიკის“ საცხობის პატრონს (მატერიალის ქ. № 7) **ანთიმოზ ცმვერალაშვილს**, რომელიც ამუშავებდა 3—მუშას, შრომის ბირჟის გარეშე მიღებულთ, არც ერთს მათგანს სანგარიშო წიგნაკები არ აღმოაჩნდათ და არც დაზღვეულნი იყვნენ.

ზურგზე არ არის ისეთი სახელმწიფო, სადაც ჯარს ნება დართული ჰქონდეს კოოპერატიული მუშაობაში ჩარევისა. აშკარაა, რომ ეს ასეც უნდა იყოს, აკი ცხადია, რომ მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაა დაინტერესებული იმაზე, რომ რაც მეტს ინიციატივას და საზოგადოებრივი მუშაობის უნარს შეითვისებს წითელ-არმიელი, იმდენად ძლიერი შეიქნება საბჭოთა სისტემა. აქ მენშევიკების ბატონობის დროს ნება დართული იყო **მხოლოდ ოფიცერთა მომხმარებელი საზოგადოების არსებობა**. ჯარის კაცი გარიყული იყო ყოველგვარ თვითმოქმედების ასპარეზიდან. ესეც ცხადია ჩვენთვის. მენშევიკები თავიანთ სიძლიერეს გრძნობდნენ მაშინ, როდესაც იმათ ჯარის კაცი ეგულებოდათ, როგორც ბრმა იარაღი იმპერიალისტურ და ნაციონალისტურ პოლიტიკის. რამდენათ მათი ჯარი ეჩვეოდა თვითმოქმედებას, იმდენათ საშიში შეიქნა ის მათთვის. სულ სხვაა საბჭოთა ხელისუფლება. ის აღვიძებს წითელ არმიელის ინიციატივას და ხელს უწყობს მასში თვითმოქმედების განვითარებას. ამის დამამტკიცებელია, სხვათაშორის კოოპერატივის დაარსება წითელ ჯარში. ქართულ წითელ არმიაში კოოპერატივი დაარსდა 1921 წლის 2 დეკემბერს ამხ. ქ. ოკუჯავას და ვ. ალნიაშვილის თაოსნობით. საამისოდ მოწვეულმა ყრილობამ მიიღო წესდება, აირჩია გამგეობა და დაიშალა 4 დეკემბერს.

დღის გამგეობა წარუდგენს მის ამომრჩეველ მომხმარებლებს 15 თვის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობის ანგარიშს. თუ როგორ ემსახურა თავის დანიშნულებას „ივკოგრუზის“ გამგეობა, სჩანს იქიდანაც, რომ მან ზურგი შეიქნა ადგილი—სპეკულიატიური მოქმედების მეთოდებს და შეუდგა კოოპერატიული მუშაობას. მართალია, ეს არ ეხება პირველ შემადგენლობას, რომელმაც შესამჩნევათ დაასუსტა „ივკოგრუზი“ და ამის გამო მეორე გამგეობას ბევრი მუშაობა დასჭირდა შეენარჩუნებია საზოგადო ქონება.

ახლანდელმა გამგეობამ აამუშავა მანამდის უმოქმედო ხე-ტყის სახერხი მანქანა, შეკრა პირობა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან, აიღო რა მისგან ხე-ტყის კონცესია ახალციხის მაზრაში, რამოდენიმე მილიარდისა—10 ათასი მორის გამოსატანათ, ყარაიაზში დაამუშავა 20 დესეტინაზე მეტი ბოსტანი, რომელიც, კოხს რომ არ ევნო, დიდ შემოსავალს პირდებოდა გამგეობას; იჯარით აიღო ბორჩალოს მაზრაში კუნძნების მამული და შეუდგა სასოფლო სამეურნეო მუშაობის გაჩაღებას. გახსნა წითელ არმიელთა ნაწილებში კოოპერატიული განყოფილებები შემდეგ ადგილებში: 1) პირველ ლეგიონში, 2) მეორე ლეგიონში, 3) მესამე ლეგიონში, 4) ცხენოსანთა ლეგიონში, 5) სამოსწავლო ათასეულში, 6) საინჟინრო ათასეულში, 7) დივიზიის გოსპიტალში, 8) კურსანტების ძირითად სკოლაში და 9) საგაუბიცო ბატარეაში. ამ საქმეს ადგილობრივ ხელმძღვანელობს კოოპერატივის წევრთა მიერ არჩეული კოოპერატიული ბიურო და სარევიზიო კომისია. ამნაირათ ქართული დივიზიის წითელ არმიელები ებმევიან ეკონომიური ფრონტის გამაგრებასაც. და თუ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა სამხედრო ფრონტზე, ის გაიმარჯვებს სამეურნეო ფრონტზედაც.

კოოპერატივს წევრებად ჰყავს ჯარის შემადგენლობის 70 პროცენტი.

ი. გოგოლაძე.

პროვინციაში

ახალ-სენაკი.

ეკლესიების დახურვა მოხდა მაზრაში ერთი თვის წინეთ. ამ დროის განმავლობაში ყველა ეკლესიები გამოყენებულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსაწყობათ, სახელდობრ: სასოფლო კლუბების, სახალხო სახლების, თეატრებისა და სამკითხველოებისათვის, რომელთა რიცხვი ამ ჟამათ მთელს მაზრაში 100 უდრის. ყველა ამ დაწესებულებებში ვითარდება გაძლიერებული საგანმანათლებლო მუშაობა: იმართება კრებები, წარმოდგენები, იკითხება მოხსენებები, სიტყვები ანტი-სარწმუნოებრივ თემებზე და სხვა. აქტიურ მონაწილეობას ამ მუშაობაში იღებენ სოფლის პარტიული ამხანაგები, ახალგაზრდობის კომკავშირის წევრები, შრომის სკოლების მასწავლებლები და მოსწავლენი.

სამაზრო პარტიულ კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება, სახალხო განათლების განყოფილება და პოლიტ-განათლების სამმართველო დახმარებას უწევენ ამ მიმართულებით სოფლელ ამხანაგებს. ყველა სამკითხველოებს დაეგზავნა ახალი ლიტერატურა ქართულ ენაზე და, სხვათა შორის,—ანტი-რელიგიური ლიტერატურაც. აღდგომის დღეებში, 8 და 9 აპრილს თითქმის ყველა კლუბებში უფასო წარმოდგენები გაიმართა. კლუბები იზიდავენ თავისკენ გლეხობას, რომელიც თანდათან სულ უფრო და უფრო ირკვევა რელიგიურ ბურუსისაგან. აღდგომის დღესასწაულმა უკვე დაკარგა თავისი ტრადიციული რელიგიური ხასიათი და გლეხობა დღესასწაულობდა არა ქრისტეს აღდგომას, არამედ თავის განთავისუფლებას ძველ ცრუმორწმუნეობათა გონებრივ და სულიერ უღლისაგან.

X.

ბიბლიოგრაფია

ქ. ნოვიცკი (პეტროვინი)

მეფის თვითმპყრობელობიდან პროლეტარიატის დიქტატურამდე.

(1917 წ. თებერვალი—ოქტომბ. 1919 წ.).

მოკლე მიმოხილვა რუსეთის დიდი რევოლიუციისა.

ქართულ ენაზე ძალიან ცოტა ლიტერატურა მოიპოვება რევოლიუციის ისტორიიდან. ამ ნაკლის გამოსწორებას და საზოგადოთ კომუნისტური ლიტერატურის გამომცემლობას შეუდგა ი და ჩემს წინ სდევს გამოცემის უკვე მეოცე ნომერი „მეფის თვითმპყრობელობიდან პროლეტარიატის დიქტატურამდე 1917-1919 წ. ქ. ნოვიცკი. (პეტროვინი)“. ნოვიცკის წიგნი მეტათ საინტერესო ფორმით, მოკლეთ გადმოგვცემს რუსეთის რევოლიუციის მსვლელობას. წიგნი დაწერილია პოპულარული ენით, მოუწყენრათ წაიკითხება თავიდან ბოლომდე; უდიდეს ქვეყნის, უდიდეს რევოლიუციის ეტაპები, დამახასიათებელი მომენტები, პოლიტიკური პარტიების დადებითი თუ უარყოფითი მონაწილეობა და პოზიცია რევოლიუციის განვითარებაში საფსებით და ნათლად არის გადმოცემული. წიგნის წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება ყველასთვის, რომ რევოლიუციის მთავარი გმირი ხალხია, რომელიც თავის ნებასურვილებს უკარნახებს პოლიტიკურ პარტიებს და ცალკე მოღვაწეებს ვინც გვერდს აუხვევს მის მისწრაფებას და საჭიროებათა მოთხოვნილებებს, ის დაუნდობლათ განდევნილ იქნება პოლიტიკურ ასპარეზიდან, ან უნდა გადადიოდეს ბარიკადების მეორე მხარეზე, კონტრ-რევოლიუციის ბანაკში.

1916 წლის 28 თებერვლიდან, როდესაც „გაისმა რუსეთში ელვა-ქუხილის პირველი გრიალი“: პეტროგრადის აჯანყებული მუშა ხალხი ამბოხებული გამოვიდა ქუჩაში მოთხოვნით—„პური!.. პური!“ მოძრაობის დასაწყისშივე აღმოჩნდა, რომ 1905 წლის რევოლიუციის გაკვეთილებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მუშათა კლასის ფართო წრეები კარგად გრძნობდენ, რომ „პურის“ მოთხოვნით დაკმაყოფილება შეუძლებელია და მოძრაობამ აშკარა პოლიტიკური და რევოლიუციონური ხასიათი მიიღო. დაიწყო სისხლის მღვრელი შეტაკებები. პოლიციასთან და სამხედრო ნაწილებთან, მაგრამ ჯარი მალე ხალხის მხარეზე გადავიდა.

„27 თებერვალს, დილის 9 საათზე, ვოლინელებმა განუცხადეს თავის კომანდირებს:

— „ჩვენ მეტს აღარ ვესვრით!“ ამის შემდეგ პოლკები პოლკებზე გადადიოდა რევოლიუციის მხარეზე და მეფის თვითმპყრობელობის ბედი გადაწყვეტილი იყო. პ. მილიუკოვის და მ. როდზიანკოს ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. სახელმწიფო სათათბიროს დროებითი აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად დაარსდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და შემდეგ საბჭოებით მოიფინა მთელი რუსეთის სივრცე ფრონტებთან ერთად.

მასების ნებისყოფის გამომხატველ კომუნისტურ პარტიის გავლენა განმტკიცდა, კერენსკის მთავრობის მეტიც გადაწყვეტილი იყო. „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“ გაისმოდა კუთხიდან კუთხემდე და ოქტომბრის რევოლიუციამ სინამდვილეთ აქცია ეს ლოზუნგი.

წიგნში აშკარად სჩანს, რომ მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას შეეძლო რევოლიუციის გაძღოლა და მის ლოღიკურ დასასრულამდე მიყვანა.

ნოვიცკი ქრონოლოგიურად, მნიშვნელობისდამიხედვით ჩერდება რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ლოზუნგებზე, როგორიცაა „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო“, „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“ და სხვა. დამფუძნებელი კრების გარეკის ისტორია, საბჭოთა მთავრობის ზავის პოლიტიკა, მიწის საკითხი და საზოგადოთ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ყველა საკითხების გადაჭრა.

წიგნი შეიცავს 218 გვერდს, სუფთად არის გამოცემული, თარგმანი დამაკმაყოფილებელია, კორექტურული შეცდომებიც ნაკლებათაა და საერთოდ წიგნი მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეჭვი არ არის, რომ ის ფართოდ გავრცელდება მუშათა და გლეხთა წრეებში.

ბ.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ გაზ. კომუნისტის მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩვენ განცხადებას:

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი ს. დ. მენშევიკურ პარტიის ყოფილი წევრები, ამით ვაცხადებთ, რომ მენშევიკური პარტია გადაუდგა მუშათა კლასს. აშკარათ მიემხრო მის მტრებს. დღეის რიცხვიდან გავდივართ ამ პარტიიდან და ვალად ვრაცხთ ჩვენ თავს მთელი ჩვენი ძალღონით დავეხმაროთ კომუნისტურ პარტიას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში.

1. სით რემანოზისძე უდენტი, 2. ტიტიკო მელიტონისძე უდენტი, 3. ევგენი ერემიასძე ბურჯულაძე, 4. ჭყურია მელიტონასძე უდენტი, 5. ეხე სიმონისძე ბურჯულაძე, 6. ივანე გიორგისძე მახარაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 37.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სასამართლოს და პროკურატურის მომუშავეთა დატუსაღების წესის შესახებ.

იუსტიციის ორგანოთა ავტორიტეტის განსამტკიცებლად და სათანადო სიმაღლეზე დასამყარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ხელისუფლების არც ერთ ორგანოს არ შეუძლია დაატუსაღოს პროკურორი, ტრიბუნალის თუ სახალხო მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარე თვინიერ რესპუბლიკის პროკურორის წინასწარი ნებადართვისა; ხოლო პროკურორის თანაშემწე, რევოლიუციონური ტრიბუნალისა და სახალხო მოსამართლე და გამომძიებელი—თვინიერ უზენაესი ტრიბუნალის პროკურორისა ან ოლქის პროკურორის—კუთვნილებისამებრ,— წინასწარი ნებადართვისა.

2. უაღრესად განსაკუთრებულ და გადაუდებელ შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოს და პროკურატურის მომუშავე, რომელიც დასახელებულია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში, დატუსაღებულ იქნეს წინასწარ ნებადაურთველადაც, ხოლო იმ პირობით კი, რომ დატუსაღება იმავე დროს ეცნობოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ საპროკურორო ზედამხედველობის სათანადო პირს.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ს. გეგეჭკორი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: პ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 13.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 13.

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოსი.

პოლიტიკურ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სამეურნეო და საბჭოთა დაწესებულებათა ორგანიზაციების პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფების შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის, 1 ოქტომბრის № 53-ის და ამიერ კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს ამა წლის 26 თებერვლის, № 7 დადგენილების აღსასრულებლად, ამიერ კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველო ადგენს.

1. ამა წლის 1 აპრილიდან 1-ლი ხარისხის პასუხისმგებელ მომუშავის სატარიფო განაკვეთი განისაზღვროს 10 საქონლის მანეთით, 1:5 დამოკიდებულებით.

2. პასუხისმგებელ მომუშავეთა ხელფასის გასწორება მოხდეს შემდეგი სატარიფო ცხრილის მიხედვით.

მე-10 ხარისხ.—30 მ.ნ.
მე-11 „ —32 „
მე-12 „ —35 „
მე-13 „ —37 „
მე-14 „ —40 „
მე-15 „ —43 „
მე-16 „ —46 „
მე-17 „ —50 „

3. ანგარიშის გასწორება ხდება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ამიერ-კ.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ მანეთის კურსის მიხედვით, თანახმად მისი 9 მარტის—1923 წ. ცირკულიარულ განკარგულებისა.

4. ყველა ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს მიერ გამოცემული დადგენილებები, პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფების შესახებ, გაუქმებულად ჩაითვალოს, გარდა ა. წ. 26 თებერვლის დადგენილება № 7-ისა.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1923 წ. 1 აპრილიდან.

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში:
ა. იაშვილი.
შეთანხმებულია: ს. პ. კ. ს. მდივანი
ჯუღელი.
საერთო-საორგან. გან. გამგე:
ლ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში: 1) რიბაკოვა ალექსანდრა, 2) მირიმანოვი იოსები, 3) ბენიამინოვი ისაი, 4) გოგოშიძე ფილიპე, 5) შემელი ლეონიდე, 6) არგვშიძე მიხეილ, 7) ეჯუბოვი გიორგი, 8) კალმიკოვი კონსტანტინე, 9) დუმბაძე ევგენი, 10) არლოვ-მალახოვი ვასილ, 11) ლაშხია მიხეილ, 12) აბშილევიჩი იოსები, 13) კობერიძე ანდრია, 14) გლადკოვი რომანი.

ტფილისის კომიტეტის მდივანი:
ვ. ივანოვი.
აღრიცხვა-სტატისტიკურ განყოფილების გამგე: ზულფუგიხი.

საქ. კომ. პარ. ტფილისის კომიტეტთან არსებულ კომსტუდენტების ცენტრალური კომიტეტი

იწვევს კრებაზე (სამშაბათს, 16 აპრილს, დღის 12 საათზე) ამ-ბს შუშანიას, ბუაჩიძეს, კანდელაკს, ორახელაშვილს მარიას, გუგუშვილს, ზულფუგოვს, ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტის კომუჯრედის მდივანს და საქ. კომ. ახალ. კავშირის ტფ. კომიტეტის წარმომადგენელს.

დღის წესრიგი: 1) ტფილისის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების საბჭოს შესახებ. 2) კულტგანყოფილების და სტუდენტობის ცენტრალურ კლუბის მოწყობა. 3) მიმდინარე საქმეები.

რადგანაც საკითხები მნიშვნელოვანია, კრება არ გადაიდება და დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ: სტეფანოვი.

ორშაბათს, 16 აპრილს, სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება მორიგი კრება სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის კომუნისტურ კავშირის უჯრედისა.

პასუხის მგებელი მდივანი:
პ. ცაგარელი.

პროფესიული.

პროფკავშირთა კულტურული განყოფილება შეუდგა რა საქართველოში შრომის სამეცნიერო ორგანიზაციისათვის კაბინეტის მოწყობას, იწვევს თათბირზე ამ საკითხის შესახებ ამხ. ინჟინრებს—ოლევსკის, გოდორსკის და ზაგალინს, ექიმებს—სკოროდუმოვს და პინდოევს, პროფესორებს—ანდღიმოვს და უზნაძეს, პედაგოგს—მოლოკოვის, პროფკავშირთა მუშაკებს—მიქაძეს, რუბცოვს, ამ-ბს ცირაპს და ბირიუკოვს. თათბირი შესდგება ოთხშაბათს, 18 აპრილს 23 წელ. საღამოს 7 საათზე პროფკავშირთა წითელ დარბაზში (მუშათა სასახლე მეორე სართული).

„განათლების მუშაკთა სახლში“.

— ორშაბათს, 16 აპრილს, საღამოს 7 საათზე, გეოგრაფიის და ბუნების მეტყველების ქვე-სექციაში: ლექცია საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის კურსიდან. ფიზიკო-მათემატიკურ ქვე-სექციაში, საღამოს 7 საათზე: 1) კონიევის მოხსენება პედაგოგიური მუზეუმის შესახებ; 2) შრომის სკოლაში ფიზიკის სწავლების პროექტის განხილვა.

— სამშაბათს, 17 აპრილს, საღამოს 7 საათზე თვითმოქმედების და თვითმმართველობის ქვე-სექციაში; ამხ. ამხ. რებრუხის და ლომთაძის მოხსენება საკლუბო მუშაობის შესახებ.

— ოთხშაბათს, 18 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ისტორიულ ქვე-სექციაში: ჩურსინის ლექცია საქართველოს შედარებითი ეთნოლოგიიდან.

საღამოს 7 საათზე იმავე ქვე-სექციაში: მასალები შრომის სკოლის მე-5 ჯგუფისათვის.

— პარასკევს, 20 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ფიზიკო-მათემატიკური ქვე-სექცია აწყობს მეორე ტექნიკუმში ბალაბუევის მოხსენებას შემდეგ თემაზე: ელემენტი და მატერია თანამედროვე მეცნიერებაში.

ოთხშაბათობით, საღამოს 5 საათზე: მეცადინეობა ტექნიკურ თანამშრომლებთა, ქართულ ენაზე, მსოფლიოს წარმოშობის კურსიდან.

პარასკეობით, საღამოს 5 საათზე: მეცადინეობა ტექნიკურ თანამშრომლებთან, რუსულ ენაზე მსოფლიოს წარმოშობის კურსიდან.

— ხუთშაბათობით, საღამოს 7 საათზე: მეცადინეობა მარქსისტულ წრეში, ამხ. სუროვენკოს ხელმძღვანელობით.

განცხადებები

კვირას, 15 აპრილს,
რუსთაველის
თეატრი
მასკოტი
დადგმა მარჯანიშვილისა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კრ. 308—1—1

დღეს, 15 აპრილს,
სახელმწიფო
ოპერა
გამოსათხოვარი ბენეფისი იტალიაში გამგზავრების წინ
ა. ი. ინაშვილისა
ტოსკა ოპერა 3 მოქ.
აბესალომ და ეთერი მე-4 აქტი
კრ. 325—1—1

თანახმად ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა ა. წ. 7 აპრილის თარიღით, 15 აპრილიდან ქალაქის აბანოებში შემოღებულია შემდეგი ტარიფი:

აბანო № 3 (ყოფ. ხუმბათაშვილის)	
ნომრები: 1, 2, 3	350.000 მან.
საერთო	70.000 „
აბანო № 4 (ყოფ. არღუთინსკის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6	300.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 5 (ყოფ. ცოვიანოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4	350.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 6 (ყოფ. ფანტაზია)	
ნომრები: 1, 2, 3, 4	350.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 7 (ყოფ. ერეკლეს და შალამოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10	350.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 8 (ყოფ. ორბელიანის)	
ნომრები: 1, 2, 4, 4, 5, 6	350.000 „
„ 7, 8, 9, 10	300.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 9 (ყოფ. მირზოევის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10	350.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 13 (ყოფ. კარაჯევის)	
საერთო კაცების	80.000 „
აბანო № 14 (ყოფ. ჟუნანოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8	350.000 „
საერთო კაცების და ქალების	80.000 „

(კრ. 321 2—2)
ადმინისტრაცია.

საექიმო პერსონალის ხელახალი რეგისტრაცია ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან დასრულდა.

იმ პირთათვის, რომელნიც ვერ გამოცხადდენ [illegible] რეგისტრაციის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 17 და 18 აპრილი ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საორგანიზაციო [illegible] ქ. 30, საღამოს 6—8 საათამდე). საექიმო პერსონალი, რომელიც რეგისტრაციაში არ გატარდა, ჰკარგავს პროფ. მუშაობის უფლებას.

ჯანმრთელობის სახ. კომისარის მოადგილე: ფრანგულიანი,
2—2 საორგანიზ. განყოფ. გამგე: გოცირიძე.

საქართველოს ტექნიკური საამშენებლო ბიურო

სატსამბო

მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში,

ყველაფერი

ელექტროფიკაციისათვის

ელექტრონის დანადგარები, ტექნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტექნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.

კრ. 682—0—19

საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა

აცხადებს, რომ 1923 წლის 15 აპრილიდან წესდება პროცენტები მიმდინარე ანგარიშებზე, რომელიც ეძლევათ დაწესებულებებს და კერძო პირებს ოქროთი (ჩერვონცებით) წლიურად 4 პროცენტამდე და მოკლე ვადით შენახულ ფულზე ოქროთი 6—8 პროცენტამდე წლიურად.

კრ. 318 2—2

ამიერ-კავკას. რკინის გზების სამმართველო

გადაზიდვათა ცენტრ. კომიტეტის დადგენილების შესაცვლელად (დეპეშა № 723-6913, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ზარია ვოსტოკაში“ № 179-178) აცხადებს, რომ როსტოვის სათავო გადაზიდვათა კომიტეტის ა. წ. 27 მარტს № 3 დადგენილების თანახმად, უწყებებისათვის მინიჭებული უფლება გადაგზავნონ ტვირთები თავიანთ ნორმების ანგარიშში კერძო პირთა მისამართით გაუქმებულია და უწყების ტვირთები შეიძლება გადაგზავნილ იქნას უწყებების ნორმების ანგარიში, მხოლოდ დაწესებულებათა, ორგანიზაციების და უწყებების მისამართით. ამასთანავე რომელიმე დაწესებულების ან უწყების მიერ ტვირთების გადაგზავნის დროს მეორე უწყების ნორმის ანგარიში და სხვა მისამართით საჭიროა გამგზავნელისაგან იმ უწყების მიერ მიცემულ მოწმობის წარმოდგენა, რომლის ნორმის ანგარიშიაც იგზავნება ტვირთი. დანარჩენში გადაზიდვათა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გამგზავნელის მიერ გაგზავნის სადგურზე მოწმობის წარდგენის და „გადაზიდვის ფურცელზე“ (ნაკლადნაია) იმ უწყების სახელწოდების აღნიშვნის შესახებ, რომლის ნორმის ანგარიში სწარმოებს გადაზიდვა, რჩება ძალაში.

გადაზიდვათა ადგილობრივ ბიუროს თავმჯდომარის მაგიერ—**ლედერი.**

(კრ. 319 3—2)

სახლი

თავისუფალი ბინით. ვისაც სურს ხელსაყრელ პირობებში შეიძინოს ან გაჰყიდოს, მიმართოს დავიდოვის ქუჩ. № 3, ბინა 2, 11—2 ს. და 5—7 საათამდე. გოლოვინის ქუჩის გვერდით.

(526—1—1)

ექიმების საყურადღებოთ.

საქართველოს ექიმთა ყრილობა გაიხსნება 16 აპრილს, ორშაბათს, საღამოს 5 საათზე პროფესიონალურ საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე). ყველა დელეგატებს გთხოვთ გამოცხადდეთ მედ.-სან. შრომის კავშირში (მუშათა სასახლე, ოთახი 54) სათანადო მანდატების მისაღებათ და ანკეტების შესავსებათ დღის 12—4 საათამდე.

ყრილობაზე დასწრება ყველა ექიმებისთვის თავისუფალია.

(529 1—1)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—8)

დაკარგა მატრონა გაბრიელოვის სახელზე ნოვოჩერკასკში გაცემული პასპორტი № 4604 | 1144 ჩაითვალოს გაუქმებულათ. (524 1—1)

დაკარგა ალექსანდრა სალტიკოვას სახელზე ნოვოჩერკასკში გაცემული პასპორტი № 3399 | 2635 ჩაითვალოს გაუქმებულათ. (525 1—1)

დაკარგა შრომის ბირჟის საწევრო წიგნაკი ბარბარე იოსების ასული ტეხაშვილის სახელობაზე, გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 523—1—1

დაკარგა სახლის წიგნი № 7617 ტემრიუკის ქუჩის № 8 სახლის ვლადიმერ დედანოვას. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგა ეკატერინე ტერ-ოგანოვის სახელზე შრომის ბირჟის მიერ გაცემული უმუშევრობის წიგნაკი და სხვა დოკუმენტები. ჩაითვალოს გაუქმებულად. (527 1—1)

[illegible]